პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

14 ოქტომბერი, 1939 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

№ 30 (117) ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწერალთა ყრილობის შედეგები

ამ დღეებში დამთავრდა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა, რომელმაც შეაჯამა პირველი ყრილობიდან დღემდე, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებიდან ახლანდელ პერიოდამდე მოპოვებული წარმატებანი, მძაფრი ბოლშევიკური კრიტიკითა და თვითკრიტიკით ამხილა მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი და დასახა ახალი პერსპექტივები იმისათვის, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ნამდვილად, საქმით იქცეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი ცენტრად, რომ ამ ორგანიზაციამ მიიზიდოს და აქტიურ მუშაობაში ჩააბას ჩვენი ლიტერატურის ყველა სასიცოცხლო ძალა.

ამხ. ალიო მაშაშვილის, შალვა დადიანის და სიმონ ჩიქოვანის მოხსენებებმა და ამ მოხსენებათა ირგვლივ გამართულმა კამათმა ცოცხალი ფაქტებით ნათელჰყო და დაადასტურა, რომ განვლილი შვიდი წლის მანძილზე ქართული საბჭოთა ლიტერატურა გაიზარდა, განმტკიცდა და თავისი საუკეთესო წარმომადგენლების შემოქმედებით საკავშირო სახელი მოიხვეჭა. საბჭოთა მწერლების მოთხრობებში და პიესებში, პოემებსა და ლექსებში მთელი თავისი სისრულით გამოჩნდა მსოფლიო ისტორიის ახალი გმირი, სოციალისტური საზოგადოების ადამიანი. უდიდესი ბედნიერება ჩვენი მწერლობისა სწორედ ის არის, რომ მას წილად ხვდა ნათელი და რეალისტური სახეებით აღებეჭდა და დაეხატა კაცობრიობის უდიდესი ადამიანების **ლენინისა და სტალინის** გენიალური სახეები, აესახა კომუნიზმის იდეების ძლევამოსილება, ჩვენი სამშობლოს სიდიადე და ბედნიერი ცხოვრება.

ქართველი საბჭოთა მწერლების ყრილობა ამ წარმატებათა დემონსტრაცია იყო.

ამასთან ერთად ყრილობაზე გამოირკვა, რომ ჩვენი მწერლობის მუშაობას მთელი რიგი, ფრიად სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ჩვენს პოეზიაში ადგილი აქვს ერთფეროვნებას, არა სჩანს ბეჯითი და გულმოდგინე ბრძოლა მხატვრული ხარისხის ამაღლებისათვის, ხშირ შემთხვევაში არა სჩანს ინტიმი შემოქმედსა და მასალის შორის. ამაში ბრალი მიუძღვის თვითკმაყოფილების გრძნობას, რომელმაც მოიცვა ჩვენი მწერლების ერთი ნაწილი. ყრილობაზე მოყვანილი იყო კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქართულ საბჭოთა პოეზიაში ნაწილობრივ შესუსტდა ახლის ძიების, ახალი სიტყვის თქმის, სამყაროს ახლებურად გამოსახვის მისწრაფება და სურვილი. ერთდაიგივე დაზეპირებულ სახეებს, ერთდაიგივე ფერადებს ხშირად იმეორებენ, აღარა ცდილობენ მკვეთრად და მკაფიოდ გამოჰყონ თავისი ინდივიდუალური პოეტური, მხატვრული ფიგურა.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს მხატვრულ პროზასაც. ქართული საბჭოთა პროზა ერთგვარ თემატიურ შეზღუდულობას განიცდის. ქართველი საბჭოთა მწერლების რომანებსა და მოთხრობებში ასახული იქნა საკოლმეურნეო სოფელი თავისი ახალი ადამიანებით. მაგრამ ჩვენ ჯერ ვერ ვხედავთ მწერლობაში სოციალისტური ქალაქის სახეს, ჩვენმა მწერლებმა ჯერ ვერ გამოხატეს მუშათა კლასის ადამიანები, მოწინავე სტახანოველები, რომელთაც შრომა სახელისა და დიდების საქმედ აქციეს. არა სჩანს ჩვენს მწერლობაში ახალი სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც მუშათა კლასის და მშრომელი გლეხკაცობის წრიდან გამოვიდა, ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება წიგნები წითელი არმიის გმირული წარსულისა და აწმყოს შესახებ. ყველა ამ თემებმა უნდა იპოვონ ღირსეული გამოხატულება ჩვენს მწერლობაში. ჩვენს მწერლობას ამისათვის ყველა შესაძლებლობა გააჩნია. ქართული საბჭოთა პროზა, მიუხედავად თავისი წარმატებებისა, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაეუფლა სოციალისტური რეალიზმის ურთულეს ხელოვნებას, ამიტომ არის, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით სქემატიურობას, ვხვდებით ისეთ მოვლენებს, როცა მწერალი ვერ ახერხებს ტიპისა და ტიპიური მოვლენის მოცემას, ვერ ახერხებს ცხოვრების უმდიდრესი მასალა გადაადნოს მხატვრულ სახეების მწყობრ და დასრულებულ სისტემად.

ყრილობამ სამართლიანად დაუთმო დიდი დრო და ყურადღება ქართული საბჭოთა კრიტიკის საკითხებს. ჩვენი კრიტიკა ვერ სდგას იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომელსაც მის წინაშე თანამედროვე ეპოქა აყენებს. უმრავლეს შემთხვევებში კრიტიკოსები სწერენ უფერულად, ნიველირებულად, მოვალეობის მოსახდელად. არა სჩანს ის შთაგონება, რომელიც საჭიროა და აუცილებელი არა მარტო პოეტისა და ბელეტრისტისათვის, არამედ კრიტიკოსისათვისაც. ჩვენი კრიტიკოსები ერიდებიან სახელდამტკიცებული და ცნობილი მწერლების ნაწარმოებთა ნაკლოვანებების მხილებას, ან და ხშირად მწერალს ხოტბას ასხამენ მარტო იმისათვის, რომ ის აქტუალურ თემაზე მუშაობს, ცხადია ამით იჩრდილება მხატვრული ხარისხისათვის გულმოდგინე და ბეჯითი ბრძოლა, იკარგება ინტერესი ამ ბრძოლისადმი. როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ჩვენი კრიტიკა ხშირად სრულიად უყურადღებოთ სტოვებს მწერლის ლექსიკას, მის შემოქმედებითი სტილის თვისებებს, ნაწარმოებების კომპოზიციას და მწერლის მხატვრულ შესაძლებლობას.

კრიტიკის ჩამორჩენის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ დღემდე მწერლობის ამ დარგს ძლიერ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, არ იყო ზრუნვა კრიტიკოსთა კადრებზე, იყო ცდები კრიტიკის უარყოფისა, გაბიაბრუებისა. ამას, ცხადია, ზიანის მეტი არაფერი არ მოჰქონდა. უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ჯანსაღი, მტკიცე, პრინციპული კრიტიკის გარეშე შეუძლებელია საბჭოთა ლიტერატურის წინსვლა. უნდა ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი საბჭოთა კრიტიკას და დავეხმაროთ, რათა მან შესძლოს ღირსეულად შეასრულოს თავისი როლი სოციალისტური ლიტერატურის მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია ყრილობამ მწერალთა კავშირის მუშაობის გარდაქმნის საკითხს. ყრილობამ დასახა ღონისძიებანი მწერალთა კავშირის მუშაობის ყოველმხრივი გარდაქმნისათვის დემოკრატიზმის საფუძველზე. გარდაქმნის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მწერალთა კავშირის მუშაობაში მტკიცედ დავიცვათ და გავატაროთ კოლეგიურობის, კოლექტიური მუშაობის პრინციპი, საბოლოოდ აღმოვფხვრათ სექტური კარჩაკეტილობის, ჯგუფობრიობის ნაშთები. უნდა მოხდეს მწერალთა კავშირის ყველა ორგანოს გარდაქმნა, კადრების სწორი განაწილება; ამ საქმეში კომუნისტებმა უნდა ითამაშონ ხელმძღვანელი როლი ისე, რომ დაამყარონ სავსებით სწორი დამოკიდებულება უპარტიო მწერლებისადმი, ჩვენი პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული ინტელიგენციისადმი. ყრილობაზე აღნიშნული იქნა, რომ მწერალთა კავშირში დღემდე ხშირად გაურბოდნენ თვითკრიტიკას; ინდივიდუალიზმის აღმოფხვრა და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების დამყარება მწერალთა ორგანიზაციაში — ეს არის ჩვენი გადაუდებელი ამოცანა; ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე უნდა შეიქმნას შემოქმედებითი ატმოსფერო მწერალთა კავშირში და აღმოიფხვრას ერთმანეთისადმი უნდობლობა მწერალთა შორის.

მწერალთა კავშირის გამგეობა, მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდა მწერლების კადრების აღზრდას. ასევე ნაკლები ყურადღება ექცეოდა ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის მწერალთა ორგანიზაციებს. ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ამ მხრივ სამართლიან საყვედურებს გამოსთქვამდნენ ყრილობაზე.

ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ღირსეულად და დროულად ჩავატაროთ მწერალთა კავშირის მუშაობის გარდაქმნა.

ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ მწერალთა კავშირის ყველა წევრმა, ყველა საბჭოთა მწერალმა მოახდინოს მთელი თავისი შემოქმედებითი უნარისა და ნიჭის მობილიზაცია იმ ამოცანების განხორციელებაში აქტიური და უშუალო მონაწილეობის მისაღებად, რომლებსაც ჩვენს წინაშე აყენებს ჩვენი ქვეყანა, პარტია და დიდი **სტალინი**. ეს არის ქართული საბჭოთა მწერლობის სახელისა და ღირსების საქმე.

### საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში

(მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა სასახლე)

15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე გაიმართება დიდი რუსი პოეტის **მ. ი. ლერმონტოვის** დაბადებიდან 125 წლისთავის აღსანიშნავი **საზეიმო საღამო.**

შესავალი სიტყვა — **გიორგი ლეონიძე**

მ. ი. ლერმონტოვის ცხოვრება და შემოქმედება — მომხსენებელი **დ. ბენაშვილი**

ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში — მომხს. **ი. გრიშაშვილი**

ლერმონტოვის ლირიკა — მომხს. **ვ. წულუკიძე**

ლერმონტოვი კავკასიაში — მომხს. **ი. ენიკოლოფოვი**

ლერმონტოვის ნაწარმოებთა თარგმანებს წაიკითხავენ: **შ. დადიანი, დ. გაჩეჩილაძე, გ. გაჩეჩილაძე, მ. პატარიძე, გრ. ცეცხლაძე, ქ. ჭიჭინაძე, ვ. გაფრინდაშვილი.**

კონცერტი: **დ. გამრეკელი, ბ. ვალაცი** და **შარატა - დოლიძე** შეასრულებენ რომანსებს და დუეტებს ლერმონტოვის ტექსტზე.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

**საიუბილეო კომისია**

## მ. ი. ლერმონტოვი

ოქტომბრის წინადროინდელი და ჩვენი თაობის შეგნებაში ერთი მეორისაგან განუყრელი არიან პუშკინისა და ლერმონტოვის სახელები. მაღალი და დიდი პოეზიის დროშა, რომელიც ხელიდან გავარდა განგმირულ პუშკინს, ჭაბუკმა ლერმონტოვმა ისევ აღმართა. ბელინსკიმ მას პუშკინის მემკვიდრე უწოდა, ამით იგი იმას როდი ამბობდა, თითქოს ლერმონტოვი იმეორებდა პუშკინის თემებს, მოტივებს, პოეტურ ხერხებს. იმავე ბელინსკიმ ყველაზე ადრე განსაზღვრა ლერმონტოვის თავისებურება და მიანიჭა მას დამოუკიდებელი ადგილი რუსული და მსოფლიო პოეზიის გიგანტებს შორის. „ჩვენ არ ვიტყვით,—ამბობს დიდი კრიტიკოსი,—რომ გაივლის დრო და მისგან გამოვა ბაირონი, გიოტე, ან პუშკინი, რადგან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისგან არ გამოვა არც პირველი, არც მეორე და არც მესამე, მისგან გამოვა ლერმონტოვი“. მართლაც, როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, ლერმონტოვი განუმეორებელია და არ ჰგავს არცერთ თავის უახლოეს წინაპარს. მართალია, მას აქვს საერთო თემები რილეევთან და მით უფრო პუშკინთან, მაგრამ ლერმონტოვის მიერ თემების მხატვრული გახსნა, პრობლემების დაყენება და გადაჭრა, ლერმონტოვის პოეზიის საერთო ტონი მკვეთრად განსხვავდება პუშკინის პოეზიის საერთო ტონისა და მხატვრული მანერისაგან.

სინამდვილით დაუკმაყოფილებლობა, ღრმა სევდა, მაგრამ ამასთან ამ სევდისა და სასოწარკვეთილების დაგმობა-უარყოფა — ასეთია ლერმონტოვის პოეზიის ნიშანდობლიობა, რაც არამც თუ ამსგავსებს, არამედ პოლარულად უპირისპირებს ლერმონტოვის დაღვრემილ მეამბოხე მუზას პუშკინის დამშვიდებულს, ხალისიანს და მზიურ ქნარს. ჯერ კიდევ ბელინსკიმ შენიშნა, რომ ლერმონტოვის ლირიკა მკითხველს აოცებს თავისი უსიხარულობით და უიმედობით. ლერმონტოვის პოეზიის ლირიული გმირისაგან გვესმის მხოლოდ ის, რომ მის გულში სიცივე და სიძულვილია, რომ ცხოვრებისაგან იგი გულგატეხილია. ასეთ აღსარებას ვხვდებით ლერმონტოვის ლექსების დიდ ნაწილში. საიდან მოდის ეს უიმედობა და შეიძლება თუ არა ესოდენ სევდიანი სტრიქონების ავტორი წარმოვიდგინოთ მოწინავე სოციალური ფენის აზრთა და განწყობილებათა გამომხატველად? შეიძლება, — კატეგორიულად ამტკიცებს ჩვენი საბჭოთა კრიტიკა, რადგან ლერმონტოვის სულისკვეთება არის მთელი თაობის სულისკვეთება, იმ თაობისა, რომლის შეგნება ყალიბდებოდა დეკემბრის აჯანყების შემდგომ გამძვინვარებულ რეაქციის წლებში.

ზარბაზნების გრიალი სენატის მოედანზე, გრიალი, რომელმაც გამოაღვიძა და ფეხზე დააყენა მოწინავე ახალგაზრდობა, მიწყდა. გამარჯვებულმა დესპოტიზმმა სასტიკად იძია შური: ნაწილი პირველი რუსი რევოლუციონერებისა სარჩობელაზე ჩამოჰკიდა, ნაწილი გააციმბირა და ნაწილი ყრუ კუთხეებში მიფანტმოფანტა.

მაგრამ თვით ამ ველურმა სისასტიკემ და ამ მძიმე ატმოსფერომაც ვერ შესძლეს ჩაეკლათ უკმაყოფილება და ის საზოგადოებრივი დრტვინვა, რომელიც წარმოშვა დეკაბრისტული მოძრაობის მეთაურთა განადგურებამ. შეუძლებელი აღმოჩნდა აღმოფხვრა დეკაბრისტული ტრადიციებისა, რომლებიც ფერფლმიყრილი ნაკვერცხლებივით ისევ ღვივოდნენ მოწინავე ახალგაზრდობაში. დეკაბრისტებმა გააღვიძეს არა მარტო გერცენი, არამედ ლერმონტოვიც, რომლის იმდროინდელ ლექსებში დეკაბრიზმის მომღერლის, დასჯილი პოეტის კ. რილეევის ჰანგები მოგვესმის.

„სიმწარესა და გესლში ამოვლებულ რკინის ლექსებში“ ჭაბუკი პოეტი ამხელს თავისი დროის კერპებს, მათ მორალურ - ინტელექტუალურ სილატაკეს, უმიზნობასა და ფუქსავატობას. რაც დრო გადის, ეს მხილება უფრო და უფრო კონკრეტულ და რეალისტურ ხასიათს ღებულობს და რევოლუციური მგზნებარების უმაღლეს წერტილს აღწევს „პოეტის სიკვდილში“ და „ფიქრში“. თუ სოციალური ბოროტების სამხილებლად დაწერილ ლექსში „თურქის ჩივილი“ პოეტი გვერდს უვლის სოციალური უკუღმართობის მიზეზებს და იმ ფენებს, რომლებიც ამ უკუღმართობის მსხვერპლნი გამხდარან, ლექსში „მშვიდობით“ სოციალურ ბოროტებას დარქმეული აქვს თავისი ნამდვილი სახელი, ამ ექსპრომტის რვა სტრიქონში გამომჟღავნებულია ბატონყმური რუსეთის სოციალურ-ეკონომიური წყობის აღმოსავლურ-აზიური ბუნება („მხარე მონათა, მხარე ბატონთა“), მისი უკულტურობა („მშვიდობით რუსეთო დაუბანელო“), ხალხის იძულებითი მორჩილება და თვითმპყრობელურ-პოლიციური ხელისუფლების ინკვიზიტორული დამოკიდებულება ქვეშევრდომებისადმი. პოეტის ღრმა რწმენით, მონების მხარეში, ბატონების მხარეში ჭეშმარიტმა ადამიანმა არ შეიძლება ბედნიერება ჰპოვოს და მას სავსებით ბუნებრივად მიაჩნია, თუ ასეთ ქვეყანაში მაღალი ნიჭი და წმინდა გრძნობა იღუპება. „პოეტის სიკვდილში“ პუშკინის მკვლელობით შეძრწუნებულს ლერმონტოვს მზის სინათლეზე გამოჰყავს მგოსნის ნამდვილი მკვლელები, ტახტის ირგვლივ თავმოყრილ შურიან და ხარბ ადამიანთა ბრბო, გვიჩვენებს უბადრუკ ცილისმწამებელთა, დამცინავ უმეცართა, უმსგავსო სახეს, სახეს გარეწართა, რომელნიც მაშინ მართავდნენ რუსეთს და სწყვეტდნენ მილიონების ბედ-იღბალს.

ასევე დიდი მოქალაქეობრივი პათოსითაა აღბეჭდილი ლექსი „ფიქრი“, რომელშიაც პოეტი გაბატონებული წოდების ახალგაზრდა თაობის შესახებ იძლევა მეტად უნუგეშო დასკვნებს. პოეტი ღრმა ჩაფიქრებით, გარეგნულად მშვიდი ტონით მოგვითხრობს თავისი თაობის ადამიანთა, უდროოდ დაბერებულ



თავის თანამედროვეთა იდეურ-მორალური დაკნინების ამბავს. მწარე ფიქრები მთელი თაობის ფუქსავატობისა და უმოქმედობის გამო ღებულობს გულისტკივილით წარმოთქმულ საბრალმდებლო სიტყვის ფორმას. ჩვენი თაობა,—დაასკვნის პოეტი, — „უმოქმედობაში დაბერდება და არ დაუტოვებს შთამომავლობას არც აზრს ნაყოფიერს და არც ნიჭიერად დაწყებულ საქმეს“.

ამავე მოტივებს, ამავე პრობლემებს, თავის დროის ამავე მღელვარე საკითხებს აყენებს ლერმონტოვი თავის პროზაში, განსაკუთრებით თავის რომანს „ჩვენი დროების გმირში“, რაც იმას მოასწავებს, რომ ლერმონტოვის პოეზია და პროზა სათავეს ღებულობს ერთდაიმავე წყაროდან ერთი და იმავე მსოფლშეგრძნობიდან და მსოფლმხედველობიდან „ჩვენი დროების გმირში“ შეიძლება მოვნახოთ მთელი გვერდები, რომელნიც თავისი შინაარსით და განწყობილებით შეესაბამებიან „პოეტის სიკვდილში“, „ფიქრში“ და სხვა ლირიკულ ლექსებში გამოთქმულ აზრებსა და განწყობილებებს.

ლექსებით „პოეტის სიკვდილი“, „ფიქრი“, რომანით „ჩვენი დროების გმირი“ ლერმონტოვი გამოდის კარჩაკეტილ განმარტოებულ პოეტურ სახელოსნოდან და ადის პოლიტიკური თავისუფლების საქადაგებელ ტრიბუნაზე.

ამ დროიდან იწყება ლერმონტოვის დევნაც: ორი დაპატიმრება, ორი გადასახლება, გვირგვინოსანი მკვლელის — ნიკოლოზ პირველის შეუნელებელი სიძულვილი ხვდა წილად ლერმონტოვს. ამ დევნაში იწრთვნებოდა პოეტის პოლიტიკური შეგნება. დევნას იგი უპასუხებდა ისეთი მახვილი ლექსით, როგორიც არის „ხანჯალი“, სადაც თავისუფლებისთვის მებრძოლი კავკასიელი ხალხების იარაღს პოეტი აღიარებს მამაცობისა და სიმტკიცის სიმბოლოდ, ლექსით „ვალერიკი“, სადაც გაშიშვლებულია მეფის მიერ კავკასიაში წარმოებული ომის ნამდვილი ხასიათი, ლექსით „ჟურნალისტი, მკითხველი და მწერალი“, სადაც პოეტი მწერლობის უპირველეს ამოცანად სახავს საზოგადოებრივი იდეალების სამსახურს, ლექსით „სამშობლო“, სადაც პოეტი ამჟღავნებს უღრმეს და უგულითადეს სიყვარულს რუსი ხალხისადმი და სხვა. სწორედ ამ ლექსების წაკითხვამ შთააგონა დობროლიუბოვი დაეწერა შემდეგი სიტყვები: „ლერმონტოვი, რომელიც ადრე ჩაწვდა თავის თანამედროვე საზოგადოების ნაკლოვანებებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხსნა ამცდარი გზიდან მხოლოდ ხალხშია. ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს განმაცვიფრებელი ლექსი „სამშობლო“, სადაც პოეტი გვაძლევს მამულისადმი სიყვარულის ჭეშმარიტს, წმინდა და გონივრულ გაგებას“.

სამშობლოსადმი სიყვარულმა წარმოშვა პოეტის ლექსები ხალხის წარსულზე, მისი ღრმა ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი. ამ ინტერესთან შეერთებულმა დიდმა ნიჭმა მოგვცა ხალხური სულით გამსჭვალული პოეტური ქმნილებანი, ხალხურ ყოფა - ცხოვრების სიუჟეტებზე დაწერილი „რუსული ბალადა“, „რუსული სიმღერა“ „ატამანი“, „კაზაკური ნანა“; ისტორიულ თემებზე შექმნილი, ღრმა ლირიზმით აღსავსე ეპიკური ნაწარმოებნი „ოლეგი“, „მებრძოლის სამარე“, „ბოროდინოს ველი“ და ამ ჟანრის ნაწარმოებთა გვირგვინი, პოემა — „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“. ეს პოემა, სადაც ავტორი გვევლინება თვითმპყრობელობის მიერ გასრესილ ადამიანთა მოსარჩლედ და ქომაგად, წარმოადგენს ერთ მთლიან სახე-სიმბოლოს. მართალია, პოეტი აქ გვიხატავს ისტორიულ წარსულს, მაგრამ ამ წარსულში ნაგულისხმევია მისი თანამედროვეობა, სოციალური ურთიერთობა ნიკოლოზ პირველის რეაქციული ეპოქისა. ისტორიული თემების დამუშავებისას პოეტი არა თუ არ გაურბოდა თავის სინამდვილეს, არამედ მთელი თავისი მგზნებარებით ეხმაურებოდა მას.

სოციალური მოტივი არ არის გამორიცხული ლერმონტოვის სატრფიალო ლირიკაშიც. სიყვარულის თემას ლერმონტოვი იშვიათი მრავალმხრივობით ანვითარებს.

ლერმონტოვის პოეზიისათვის უცხოა აგრეთვე ის ესთეტიურ-ჭვრეტითი დამოკიდებულება ბუნებასთან, რომლითაც თავად-აზნაურული პოეზიის და ესთეტიკის წარმომადგენლებს თავისი დროის საზოგადოებრივი შეგნება შორს მიჰყავდათ სინამდვილის წინააღმდეგობისა და სირთულისაგან. ლერმონტოვი საზოგადოებაში გაბატონებულ ბოროტებას უპირისპირებს ბუნებას („სასაფლაო“, „სამი პალმა“ და სხვა). ბუნებასთან ურთიერთობა პოეტს მიაჩნია შინაგანი წონასწორობის წყაროდ („როდესაც ღელავს ოქროსფერი ყანა“), ხოლო ბუნებასთან შეერთება უმაღლესი ჰარმონიის სათავედ. („გავდივარ გზაზე“). ეს არ ანელებს ლერმონტოვის პოეზიის სიმახვილეს. ამ საპეიზაჟო ლირიკაშიც სიმკვეთრით მოისმის სოციალური თავისუფლების მოტივები. პოეტი ხშირად უმღერის ქექა-ქუხილსა და ქარიშხალს, როგორც თავისუფლების სიმბოლოს, ხედავს რა მათში თავისი მისწრაფებათა, -- ყოველგვარი ძალადობისა და მონობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებათა განსახიერებას. ეს ქარიშხალი და ქექა-ქუხილი ხან ცოცხალი ბუნების რეალური აღწერაა, ხან კიდევ განყენებული რომანტიული სახე. („იალქანი“, „ჯვარი კლდეზე“, „მე სიცოცხლე მსურს“, „მწირის“ სტროფები და სხვ.).

ლერმონტოვმა პუშკინთან ერთად პირველმა უმღერა საქართველოს, საერთოდ კავკასიას და ეს სიმღერა ღრმა თანაგრძნობითაა გამსჭვალული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მთიელი ხალხებისადმი.

კავკასიის ხალხთა ბრძოლის ამსახველი პატარა ეპისტოლარული პოემა „ვალერიკი“, სადაც პოეტი გვიხატავს თვითმპყრობელობის მიერ მთიელთა სისხლიან დარბევას, სიკვდილსა და ხალხთა წამების შესაზარ სურათებს, შეიცავს ღრმად მოფიქრებულ პროტესტს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის თავგადასავალით არის ნაკარნახევი ლერმონტოვის შემოქმედების მარგალიტი პოემა „მწირი“. „მწირი“ გაშლილი სიმბოლიური სახეა თავისუფლების მოყვარულ ხალხისა, რომელსაც სული ეხუთება თვითმპყრობელობის ბნელ საკანში. „მწირი“ გამოხატავს თვით ლერმონტოვის ტრაგიკულ ბედს, მთლიანად პოემა არის აპოლოგია ბრძოლისა, ჰიმნი დაუდგრომლობისა, მოუსვენრობისა, დაუცხრომლობისა და მძაფრი პროტესტანტული სულისადმი, რითაც გამსჭვალულია შემოქმედება ლერმონტოვისა.

პოეტის ამ სულისკვეთებას წინ გადაეღობა თვითმპყრობელობის, ხალხთა საპყრობილის მაღალი კედელი, ძველი რუსეთის შავი სინამდვილე. პოეტს ძალა არ ეყო გადაელახა იგი. მან ვერც სულის სწორი მეგობარი ჰპოვა ამ მოშხამულ და დაუძლეველ ვითარებაში. სისუსტის და მარტოობის შეგნებამ მისცა სათავე ლერმონტოვის პესიმიზმს. მაგრამ ეს პესიმიზმი არის ყივილი დატყვევებული არწივისა, რომელიც თავის გულს ასკდება იმის გამო, რომ ძალა არ შესწევს დალეწოს დიდი ყაფაზის (გალიის) რკინის სვეტები და სივრცეში ლაღად გაინავარდოს.

**ვ. წულუკიძე**

## მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა

8 და 9 სექტემბერს ამხ. ი. აბაშიძის თავმჯდომარეობით შესდგა მწერალთა კავშირის გამგეობის ახლად არჩეულ პრეზიდიუმის მეორე სხდომა.

პრეზიდიუმის სხდომაზე ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია პრეზიდიუმის მომავალი მუშაობის საკითხებმა. პრეზიდიუმის ყველა წევრი მოითხოვდა, რათა მუშაობა ჩატარდეს კოლეგიალურ პრინციპზე, პრეზიდიუმის ყოველი წევრი მაქსიმალურად დატვირთულ იქნეს სამუშაოთი და მთავარი ყურადღება მიექცეს მწერალთა კავშირში შემოქმედებითი ატმოსფეროს განმტკიცებას. ამავე დროს ამხანაგებმა კატეგორიულად მოითხოვდნენ, რათა გაშლილ იქნეს კრიტიკა და თვითკრიტიკა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ განხილულ იქნა მიმდინარე საკითხები.

### პრეზიდიუმის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება

პრეზიდიუმის დადგენილებით წესდება მწერალთა კავშირში პრეზიდიუმის წევრთა მორიგეობა. პრეზიდიუმის თვითეული წევრი რიგრიგობით იმორიგებს თვეში ექვს დღეს.

გარდა ამისა, პრეზიდიუმის თვითეულ წევრს მიენდო მწერალთა კავშირის მუშაობის განსაზღვრული ობიექტები.

ამხ. **შალვა დადიანს** დაევალა ურთიერთობა მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირებთან და დრამსექციის ხელმძღვანელობა.

ამხ. **ლეო ქიაჩელს** მიენდო პროზაიკოსთა სექციის ხელმძღვანელობა.

ამხ. **ილო მოსაშვილი** უხელმძღვანელებს ახალგაზრდა კადრების მუშაობას და ლიტფონდის საქმიანობას.

ამხ. **სიმონ ჩიქოვანს** მიენდო პოეტებისა და მთარგმნელთა სექციების ხელმძღვანელობა.

ამხ. **სანდრო ეულს** პრეზიდიუმმა ჩააბარა სამხედრო - თავდაცვითი ლიტსექციის ხელმძღვანელობა. ამავე დროს მასვე ევალება უხელმძღვანელოს მწერალთა კავშირის ნაციონალურ სექციების მუშაობას და სისტემატური კავშირი იქონიოს აფხაზეთის, აჭარისა, სამხრეთ-ოსეთის და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციებთან.

ამხ. **შალვა რადიანს** მიენდო კრიტიკოსთა სექციის ხელმძღვანელობა.

ამხ. **ირაკლი აბაშიძეს** მინდობილი აქვს ყოველდღიური კავშირი გამომცემლობებთან და ჟურნალ-გაზეთებთან.

### პრეზიდიუმისა და გამგეობის სხდომები

მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომები მოწვეული იქნება დეკადაში ერთხელ, გამგეობის სხდომები კი ყოველ ორ თვეში.

### ლერმონტოვის იუბილე

რუსეთის უდიდესი მწერლის მ. ლერმონტოვის დაბადებიდან 125 წლისთავის შესრულების გამო იუბილეს ჩასატარებლად გამოიყო კომისია გ. ლეონიძის (თავმჯდომარე), ა. აბაშელის, ვ. გაფრინდაშვილის, შ. რადიანისა და დ. ბენაშვილის შემადგენლობით.

მწერალთა სასახლეში მოეწყობა ლერმონტოვისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო. ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენების გაკეთება დაევალა ამხ. დ. ბენაშვილს, თანამოხსენება — ი. გრიშაშვილს, სიტყვებით გამოვლენ ვ. წულუკიძე და ი. ენიკოლოფოვი.

ქართველი პოეტები წაიკითხავენ ლერმონტოვის ნაწერების თარგმანებს. დასასრულ მოეწყობა დიდი კონცერტი.

### ნ. ჩერნიშევსკის იუბილე

ნ. ჩერნიშევსკის იუბილეს მწერალთა კავშირი ჩაატარებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან ერთად.

ჩამოყალიბებულია საიუბილეო კომისია შ. რადიანის, გ. ქიქოძის, ბ. ჟღენტის (თავმჯდომარე), ვ. იმედაძისა და ვ. მაჭავარიანის შემადგენლობით.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა საიუბილეო კომისიის მიერ წარმოდგენილი გეგმა. 29 ოქტომბერს მწერალთა კლუბში გაიმართება საიუბილეო საღამო, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენება ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. წარმოთქმული იქნება სიტყვები თემებზე: „ჩერნიშევსკის ესთეტიკა“, „ჩერნიშევსკის როლი რუსულ ლიტერატურაში“, „ჩერნიშევსკი და საქართველო“.

ოქტომბერსა და ნოემბერში ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებები გაიმართება უმაღლეს სასწავლებლებში, საშუალო სკოლებში და თბილისის მოწინავე საწარმოებში.

მწერალთა მუზეუმის წინაშე დაისვა საკითხი საიუბილეო დღეებისათვის ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობის შესახებ. გამოფენამ განსაკუთრებით უნდა გააშუქოს ჩერნიშევსკის ურთიერთობა მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლების ქართველ მოღვაწეებთან.

გამომცემლობა „ფედერაციას“ დაევალა დაჩქარებით გამოსცეს ჩერნიშევსკის ცნობილი შრომა „ხელოვნების ესთეტიური დამოკიდებულება სინამდვილისადმი“. ეთხოვოს სახლიტგამს დააჩქაროს ქართულ ენაზე ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ“ გამოცემა.

### კოსტა ხეთაგუროვის იუბილე

პრეზიდიუმმა მოისმინა კოსტა ხეთაგუროვის იუბილეს ჩამტარებელი კომისიის მოხსენება. საიუბილეო კომისიაში შედიან: ილო მოსაშვილი (თავმჯდომარე), ირ. აბაშიძე, ა. აბაშელი, რ. გვეტაძე, კ. კალაძე, ს. ჩიქოვანი და ვ. გორგაძე.

საიუბილეო სამზადისთან დაკავშირებით ქართველ საბჭოთა მწერლების მიერ თარგმნილია ოსური მწერლობის ანთოლოგიისთვის ოსეთის რევოლუციამდელი და საბჭოთა მწერლების რჩეული ნაწარმოებები. ანთოლოგია 16 ფორმისაგან შესდგება. მასალები უკვე გადაცემული აქვს გამომცემლობა „ფედერაციას“. ამავე გამომცემლობამ უკვე გამოსცა ქართულ ენაზე კოსტა ხეთაგუროვის „რჩეული ლექსები და პოემები“.

ამავე დროს 25 ქართველმა საბჭოთა მწერალმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კოსტა ხეთაგუროვის ნაწერების სრული კრებულის თარგმნაში.

წიგნი 700 გვერდს შეიცავს და სცემს „საბჭოთა ოსეთის“ გამომცემლობა. აღნიშნული წიგნი უკვე იწყობა და გამოვა მიმდინარე წელს.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედების პოპულარიზაციის მიზნით რესპუბლიკურ გაზეთებში დაიბეჭდა მთელი რიგი ლექსები და საინფორმაციო წერილები. ახლო ხანში ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდება კ. ხეთაგუროვის ლექსები და აგრეთვე წერილები მისი შემოქმედების შესახებ.

პრეზიდიუმის დადგენილებით 20 ნოემბერს ჩატარდება დიდი საზეიმო საღამო თბილისში. საღამოზე წაკითხული იქნება ორი მოხსენება „კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრება და შემოქმედება“ და „ოსეთის მწერლობა და კოსტა ხეთაგუროვი“.

პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა სსსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე კ. ხეთაგუროვის სახელი ეწოდოს ერთ-ერთ ოსურ სკოლას ქართლში, ქოხსამკითხველოს კახეთის ერთერთ ოსურ სოფელში და თბილისში ერთერთ ქუჩას. აგრეთვე დაისვა საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დაწესდეს კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ორი სტიპენდია.

საიუბილეო დღეებში საზეიმო დღესასწაულზე დასასწრებლად გაიგზავნება ქართველ მწერალთა დელეგაციები ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთში.

დაევალა აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციებს ფართოდ ჩაატარონ ხეთაგუროვის საიუბილეო დღესასწაული.

კ. ხეთაგუროვის შემოქმედების საღამოები ჩატარდება თბილისში: სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში, ვოროშილოვის სახელობის კლუბში, პლეხანოვის სახ. კლუბში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში; რაიონებში: სნაურში, ლენინგორში, გორში, კობში, ლაგოდეხში, ხაშურში და ქარელში.

### მწერალთა კავშირის სომხური სექციის მუშაობის შესახებ

პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია სანდრო ეულის (თავმჯდომარე), შ. რადიანის, ი. გრიშაშვილისა და ერ. ასტვაცატუროვის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის მუშაობა და პრაქტიკული წინადადებანი წარმოუდგინოს პრეზიდიუმს 19 ოქტომბრისათვის.

# ქართული საბჭოთა მწერლობის აღმავლობისათვის

## საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძის სიტყვა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე

განვლილი შვიდი წელი—საქართველოს საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი აყვავებისა და გაძლიერების წლები იყო. საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების წლები საქართველოში და განსაკუთრებით კი უკანასკნელი წლები ცნობილია, როგორც ოქროს ხანა ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში.

სოციალისტურმა რევოლუციამ ქართველ მშრომელ ხალხს მოუტანა სრული თავისუფლება. დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველო, ისევე როგორც ყოფილი მეფის რუსეთის სხვა ჩაგრული ხალხები, ჩაება სოციალიზმის შენების დიად პროცესში, სწრაფად წაიწია წინ ქართული კულტურის ყველა დარგმა. მიუხედავად ტროცკისტ-ბუხარინელთა კონტრრევოლუციური აგენტურის ძირგამომთხრელი მუშაობისა ლიტერატურულ ორგანიზაციებში,—მხატვრული ლიტერატურა ჩვენში ნამდვილად ჰყვაოდა და ჰყვავის. იქმნება ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ სოციალისტურ გარდაქმნას ხალხის ცხოვრებაში, ჩნდება ახალი ბრწყინვალე ტალანტები, მხატვრული სიტყვის ოსტატები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის ზრდისათვის ახალი ფართო პერსპექტივები გადაშალა. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ქართული კულტურის საუკეთესო მეგობრის **ლ. პ. ბერიას** უშუალო დახმარებით საქართველოს მწერალთა კავშირმა დასძლია ჯგუფობრიობა თავის რიგებში **(ტაში)**. მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმისა და ნამდვილი დემოკრატიის ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდეც ისეთი ლიტერატურა, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისგან შორს კი არ უჭერავს თავი, არამედ მზადაა ემსახუროს ხალხს, მზადაა გადასცეს ხალხს მეცნიერებისა და ლიტერატურის ყველა მონაპოვარი.

მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ლიტერატურა კაპიტალისტებსა და მემამულეებს ემსახურება და მას ეშინია ხალხისა, მაშინ როდესაც ბურჟუაზიული ლიტერატურა გულმოდგინედ იცავს გაბატონებული კლასების მონოპოლიას ცოდნაზე, ხელოვნებაზე და ლიტერატურაზე— საბჭოთა ლიტერატურა ყოველთვის ცდილობს დაუკავშირდეს მასებს, მოგვცეს სტალინური ეპოქის ადამიანის სახე, მართლად და ჭეშმარიტად ასახოს საკოლმეურნეო სოფლის სინამდვილე. საბჭოთა მწერლები ნათლად ასახავენ სოციალისტურ ყოფა-ცხოვრებას, ადამიანთა სოციალისტურ ურთიერთობას. ეს საკითხები შეადგენს საბჭოთა პოეტების, პროზაიკოსების და დრამატურგების ნაწარმოებთა ძირითად თემას.

ჩვენი მწერლები ბედნიერი არიან იმით, რომ მათ უხდებათ მუშაობა ისეთ დიდებულ და წარმტაც თემებზე, როგორიც არის **ლენინისა** და **სტალინის** ცხოვრება.

ჩვენს ქვეყანაში, კულტურის ყველა დარგში საუკეთესო პირობებია შექმნილი შემოქმედებისათვის. სულიერი კულტურის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ, ასახონ თავის ნაწარმოებებში საბჭოთა ხალხებისა და მისი საუკეთესო შვილების დიადი, ჭეშმარიტად საგმირო საქმეები. ამიტომ იყო, რომ ამხანაგმა **ჟდანოვმა** საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე (1934 წელს) ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას უწოდა მსოფლიოში ყველაზე უფრო იდეური და მოწინავე ლიტერატურა: „ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი გმირები არიან ახალი ცხოვრების აქტიური მშენებლები: მუშები და მუშა-ქალები, კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, პარტიელები, სამეურნეო დარგის მუშაკები, ინჟინრები, კომკავშირლები, პიონერები, აი, ვინ არიან ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი ტიპები და ძირითადი გმირები. ჩვენი ლიტერატურა აღსავსეა ენტუზიაზმით და გმირული პათოსით. იგი ოპტიმისტურია, მაგრამ ოპტიმისტური არა რაიმე ზოოლოგიური შეგრძნობის თვალსაზრისით, არამედ ოპტიმისტური არსებითად, რადგან იგი არის ერთადერთი პროგრესიული, მოწინავე და აღმავალი კლასის — პროლეტარიატის ლიტერატურა. ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა ძლიერია იმით, რომ იგი ემსახურება ახალ საქმეს—სოციალისტური მშენებლობის საქმეს“.

ამ საერთო მოღვაწეობაში საქართველოს მწერლობას როგორც ვთქვით უდიდესი ადგილი უჭირავს. უკანასკნელი წლების განმავლობაში მივიღეთ ჩვენი პოეტებისა, პროზაიკოსებისა და დრამატურგებისაგან ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებსაც იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს გარეთაც, მოძმე რესპუბლიკებშიც. აქ ძალზე სახიფათოა ამხანაგების ჩამოთვლა იმისათვის, რომ ყველას ჩამოთვლას ვერ მოვახერხებ და ამის გამო შეიძლება მეც გამაკრიტიკონ (სიცილი), მაგრამ მიუხედავად ამისა შევეხები მხოლოდ რამდენიმეს.

აქ ახსენეს ლეო ქიაჩელის რომანი: „გვადი ბიგვა“. უნდა ითქვას, რომ ის მართლაც კარგი ნაწარმოებია.

ღირსშესანიშნავია კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ეს დიდი მიღწევაა მწერლის შემოქმედებაში კონსტანტინე გამსახურდიამ მოგვცა მეორე ახალი რომანი—„ბელადი“. ჯერ ეს რომანი არ გამოქვეყნებულა. ამ რომანით კ. გამსახურდიამ დიდი შემოქმედებითი ნაბიჯი გადადგა წინ.

აქვე აღსანიშნავია კონსტ. ლორთქიფანიძის „ბელორუსული მოთხრობები“, ა. ქუთათელის „პირისპირ“, რ. გვეტაძის „ჰიაკოკონა“, გ. ბუხნიკაშვილის ჯერ გამოუქვეყნებელი „გორის ისტორია“ და სხვ. მრავალი.

ჩვენი პოეტების შემოქმედება უკანასკნელი წლების მანძილზე ხასიათდება ბრძოლის თემებით და ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი **სტალინის** გენიალური სახის ასახვით. ამას ნათლად მოწმობს ქართველი პოეტების მიერ ბელადისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული. ამის დამადასტურებელია მოწინავე პოეტების: გ. ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“, ალიო მაშაშვილის და ს. ჩიქოვანის ლექსების კრებულები, ილო მოსაშვილის და ირ. აბაშიძის უკანასკნელი ლექსები, გრ. აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“ და სხვ.

ბევრი კარგი ნაწარმოები დაიწერა ქართულ დრამატურგიაშიც. ყველასათვის ცნობილია შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, ს. შანშიაშვილის „არსენა“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“. იონა ვაკელის „გიორგი სააკაძე“ და სხვ.

O

მიუხედავათ ამისა, ცხადია ვერავითარ შემთხვევაში თვალს ვერ დავხუჭავთ და გვერდს ვერ აუვლით ნაკლოვანებებს პროზაიკოსების, პოეტების და დრამატურგების შემოქმედებაში.

ნება მომეცით დავასახელო თითო-ოროლა ფაქტი ჩვენი მოწინავე პოეტების და მწერლების შემოქმედებიდან. ვინაიდან მწერლებში შექმნილია ყალბი შეხედულება, თითქოს ორდენოსანი მწერლებისა და პოეტების გაკრიტიკება არ შეიძლებოდეს, ამიტომ მე უმთავრესად მათზე შევჩერდები.

ავიღოთ მაგალითად ფორმალიზმისა და ნატურალიზმის გამოვლინებანი ქართულ პოეზიაში.

პოეტ გ. ლეონიძის ლექსში „არწივის ფრთები“ ასეთ ბუნდოვან სტრიქონებს ვკითხულობთ:

„სათოვლე მთებში ქარი ჰქრის,
გრიალებს ქარი ქარილი,
არწივებს ვერ დაიმკლავება,
ვაჟკაცი რკინისკარელი“.

ა. მაშაშვილი თავის პოემა „ენგურში“ სწერს:

„ჩვილო, ჩაბუა, მე ისევ იქ ვარ,
შენირდა—ხომ არ მხიდავს კანში,
შენდა იქავე შეიხსნა ძიძვა
მოიისამა და გასწია შინვე“.

ცხადია 'ეს უკიდურესი ნატურალიზმია.

იმავე პოემაში ავტორი ასეთი პრიმიტიული სტრიქონებით ამთავრებინებს გმირს სიტყვას:

„სანამ ძალიონე და საშველი
არ დავცემულვართ გარიგევის გზაზე,—
მოხდის დარაზმვა მშრომელ მასებს
შრომა გავხადოთ სახელქმოილი,
მოხდის შეგნება საქმის არსების,
შევხვდეთ მომავალს გამარჯვებული“.

ს. შანშიაშვილის პოემაში „ოქროს ვერძი“ ვხვდებით ასეთ უაზრო სტრიქონებს:

„ეჰი რა ციება ცრიატი უმეცარს!
სხეულში ძვრებოდა ზმანებით, ზმორებით
(„კოლხიდა“).

ი. მოსაშვილს ლექსში „ყულსაბამი“ აქვს ასეთი ადგილი:

„ძვალი დამიმშინა, დამკრა ციებამ,
ბუხართან ქალი ნაწნავებს ნასკვავს.
ქალს სიცხიანი თვალი მიიტა,
როგორც დალისტის კრიალა
ვარსკვლავს“.

იმავე ლექსში ასეთ ეროტიკულ სტრიქონებს ვხვდებით:

„და გაცხელებულ თვალს ველარ
ვწყვეტავ
ქალის უბეზე დაყრილ მანათებს“
(მოსაშვილის ლექსები, გვ. 94).

თქმა არ უნდა ეს შედარება მდარეა და მრავალგზით განმეორებული ჩვენს პოეზიაში.

ასეთივე ნაკლები ღირსების შედარება აქვს ალიო მაშაშვილს ლექსში „პატარა“:

„ვნებით გაივსება და ცრემლს მოდენიან
მკერდზე ფორთოხლები ოდნავ
ამოსული“.
(ა. მაშაშვილის ლექსები, გვ. 136).

ავიღოთ ი. მოსაშვილის ლექსი „მწიფობა ხილისა“, რომელშიაც ვკითხულობთ:

„მოხვერს მწყემსი სამარილეს უესებს,
ბარძაყები უგავს მუხის ბოძებს,
ხან ატამზე გაწოლილ ქალს უმზერს,
ხან ულონოდ ეუდება მოხვერს“.
(ი. მოსაშვილის ლექსები, გვ. 92).

ლექსში „მტირალი ქალი“ პოეტი სწერს:

„ყოველ საღამოს დაიდებს ჩოხას,
ხანჯალს და რაც კი ვაჟის ლანდს
იწვევს,
ჯერ მარილიან ცრემლებს პოხავს,
მერე ქმრისვით ლოგინში იწვევს“.
(ი. მოსაშვილის ლექსები, გვ. 93).

გ. ლეონიძე ლექსში „რა საჭირო ლექსისთვის ტაში“ სწერს:

„რა საჭიროა ლექსისთვის ტაში?
ყველა ხევსური, ვიცი დინტეა!“
(გ. ლეონიძის ლექსები, გვ. 148).

სხვა რომ არ იყოს, ეს არის მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის გაბიაბრუება, რაც ზიანის მეტს არაფერს მოუტანს მკითხველს.

ეროტიზმი არც გ. ლეონიძისათვის არის უცხო. ლექსში „მაშ რა უყოთ პოეტებმა“ ის სწერს:

„აბანოდან ამავალს თვალციმციმა
ქალი“.
(ლეონიძის ლექსები, გვ. 67).

გარდა ამისა გ. ლეონიძის ლექსებში ძლიერ ხშირად ისმის ღვინო, არღანი და სხვ.

ს. ჩიქოვანი თითქმის სავსებით განთავისუფლებულია იმ ბუნდოვანობისაგან, რომელიც მას „მემარცხენეობის“ პერიოდში ახასიათებდა, მაგრამ ასეთ შედარებებს უკანასკნელ ხანებში მაინც მიმართავს:

„შორს იშმუშნოდა კავკასიონი
და თეთრდებოდა როგორც თაგორე“.



ნატურალიზმის რეციდივებისაგან თავდაღწეული არ არის მხატვრული პროზაც.

მე მინდა შევეხო დემნა შენგელაიას რომანს „ბათა ქექია“. დემნა შენგელაია საინტერესო პროზაიკოსია, ძალზე დიდი მარაგი აქვს სიტყვების, მისი ნაწარმოები სიამოვნებით და დიდი ინტერესით იკითხება, კარგ სიუჟეტებსაც ნახულობს, მიუხედავად ამისა მას მაინც ახასიათებს ნატურალიზმის გავლენა. აი მაგალითად: „თუ კაცი ვარგხარ, ცოლი უნდა გაახმო და დააბმუნო. თუ გაგისუქდა რის ვაჟკაცი ხარ? დედაკაცი რომ მოგერევა, მშვიდობით. ავიგდებს ვაჟკაცს,—გასუქდება, გაურავდება და შენ რომ არ ეყოფი, სხვას გაიჩენს ვნების დასაოკებლად და იქ დააბნობს იმ ქონს, შენ რომ დაადე“ (სიცილი).

ეს რომ არ ჩავთვალოთ შემთხვევით მოვლენად წავიკითხავ ამ წიგნიდან მეორე ადგილსაც: „კაბის ქვეშ კაცის დამლუპავი სიღრმე დავინახე და თავში რომ დამარტყა, რაღაცამ, კოჭებამდი ჩაიარა. ვნება ყელში ბოლმად მომაწვა და ხელი თუ არ ვიტაცე, დამახრჩობს ოხრად დასარჩენი“.

მე მგონი დემნა შენგელაია უნდა განთავისუფლდეს ასეთი აზრებისაგან.

ა. ბელიაშვილის რომანში „ლელო“ მთელი რიგი ეპიზოდები ნატურალისტურად არის აღწერილი. ა. ბელიაშვილის ზოგიერთი მოთხრობები ნატურალისტური იერით ხასიათდება.

ზოგიერთი პროზაიკოსი მსოფლმხედველობის სივიწროვის გამო ხშირად მოთხრობებსა და ნოველებში ტიპიური მოვლენის ნაცვლად ანეგდოტურ ამბებს გვიწერს და ტიპებიც მოკლებული არიან ზოგად ხასიათს. ანალოგიურ მოვლენებს ვხვდებით დრამატურგიაშიც. ასეთია მაგალითად ს. კლდიაშვილის—მელიტონ ღიბრაძე, სიმონ მთვარაძის—პროფესორი ნუგზარი, ვ. გაბესკირიას—ყარამანი, პოლ. კაკაბაძის—მანუჩარი და სხვ.

ორიოდე სიტყვა სიუჟეტის სიღარიბეზე. ჩვენმა პოეზიამ ლირიულ ლექსებში ბევრი წარმატება მოიპოვა. ლირიკა თანდათან დაიხვეწა იდეური სიცარიელისაგან, თუმცა ალაგ-ალაგ მაინც ვხედავთ უიმედო ლირიკის ნაშთებს. სამაგიეროდ ეპიური ნაწარმოებები ჩვენი პოეზიისა მცირე გამონაკლისის გარდა, ჯერ კიდევ სუსტია. პოეტებს ვერ ეხერხებათ სიუჟეტის გაშლა. სუსტად იშლება მაგალითად ა. მაშაშვილის „ენგურის“ სიუჟეტი; სუსტად ვითარდება აგრეთვე კ. ბობოხიძის პოემა „სერგო ორჯონიკიძე“, მიუხედავად იმისა, რომ მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლის — ს. ორჯონიკიძის ბიოგრაფია მეტად მრავალფეროვანი და გმირული ეპიზოდებით არის აღსავსე და ეს ბიოგრაფია მდიდარ მასალას აძლევდა პოეტს.

ყველა ის მითითებები, რომელიც მაქსიმ გორკიმ მოგვცა ენის სიწმინდის შესახებ ჩვენი მწერლების საგრძნობი ნაწილის მიერ უგულებელყოფილია. ამ მხრივ, პოეზიაში უფრო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. პროზაში კი შესამჩნევია ენის სიღარიბე. აქ შემოდის პროვინციული ლექსიკა, რაც ხშირად ნაწარმოების კონტექსტით გამართლებული არ არის. მაგალითად იმავე ალ. ბელიაშვილის „ლელო“, ი. ლისაშვილის რომანები და სხვ.

O

უკანასკნელ ხანებში ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ მოძმე რესპუბლიკების კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ცუდია თარგმანების ხარისხი. ავიღოთ თუ გნებავთ უკრაინელ კლასიკოსის შევჩენკოს „კობზარის“ თარგმანი, შესრულებული ამხ. ს. ჩიქოვანის მიერ.

მაგ. ტ. შევჩენკოს ორიგინალში ვკითხულობთ:

Засветится... Будем лучше
Ризы драть мы на онучи
Из кадил табак курити,
Печь иконами топиты,
А **кропилом** будем, брате
Пол мести в родимой хате!
(«Кобзарь» стр. 426).

ს. ჩიქოვანი ამ ლექსს თარგმნის:

„გაგვანათე, ჩემო ძმაო,
პორფირებს ჩამოვხიოთ.
საკმეველით გლარჯა ვწიოთ,
ხატნი მუხარს შევუკეთოთ,
საცეცხლურით—კი ახალი
ჩვენი სახლი გამოვხვეტოთ“.
(„კობზარი“, გვ. 376).

ლექსის არაზუსტ თარგმანთან ერთად აქ სრულ უაზრობასთან გვაქვს საქმე. იმ დროს როცა შევჩენკო იძლევა ნათელ პოეტურ სახეს,—საცეცხლურის ჩიბუხად გადაქცევისა და სასხურებლით იატაკის დაგვისას, მთარგმნელი ამას უაზრობით სცვლის—საცეცხლურის მაგიერ ხმარობს საკმეველს და სასხურებლის მაგიერ საცეცხლურს, გამოდის რომ საკმეველით შეიძლება გლარჯის მოწევა და საცეცხლურით—იატაკის დაგვა.

ავიღოთ ტ. შევჩენკოს „გაიდამაკები“ — თარგმნილი კ. ნადირაძის მიერ. თარგმანი სუსტია. ცალკე სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით არ არის ნახმარი. მაგალითად „Хам“ — „ოხრის შვილი“;

„მწყურია, მალე მომართვი წყალი“. (რუსულად ლაპარაკია სამიკიტნოსთვის წყლის მიტანაზე, ქართულად კი დასალევად, ერთი ჭიქა წყლის მიტანაზე);—„აი ამ სიტყვით ერთ დღეს ყრია“, ლაპარაკია მედუქნეზე. გამოდის, რომ მხოლოდ ერთ დღეს ჩავრავდა მედუქნე იარიმას, შევჩენკო კი სწერს—ყოველ დღე, გათენებისთანავეო. ოლშანის მაგიერ იმავე თარგმანში რატომღაც (2 თავი, გვ. 74) ვილშანი სწერია. ამავე თავში შევჩენკო თავის გმირს უწოდებს იარემას, მთარგმნელმა კი რატომღაც შეუცვლელა სახელი და დაარქვა არიომა.

მაიაკოვსკის თარგმანები იმდენად სუსტად არის შესრულებული, რომ არაფრით არ გვაგრძნობინებს შესანიშნავი რუსი პოეტის სიდიადეს:

Кто над морем не философствовал
—Вода.

თარგმანი:

„ვინ აღარ არის მცოდნე ზღვასთან
ბრძენობს ფასის
—წყალი“.
(თარ. გივი გაჩეჩილაძის).

მაიაკოვსკის ცნობილი, მაღალი პოეტური გზნებით დაწერილი ლექსი Советский паспорт» ისე გაუბრალოებულია თარგმანში, რომ უბრალო პროზამდეა დაყვანილი (თარგმანი მიქელ პატარიძისა)

რუსულად:

«И вдруг как будто
Ожогом рот
Скривило господину:
Это —
Господин чиновник берет
Мою краснокожую
Паспортину.

ქართულად:

„თითქოს მდუღარემ
ტუჩები დასწვა
მოექცა ყბები
ამ ადამიანს,
რომ თვალი მოკრა
და ხელით დასწვდა
ჩემს პასპორტიან
წითელკანიანს“.

იმავე ლექსში ცნობილი სტრიქონები:

«Читайте,
Завидуйте,
Я гражданин
Советского Союза».

არალიტერატურული ქართულით ასეა თარგმნილი:

„წაიკითხეთ, (?)
ალივსეთ ჯიბრით, (?)
საბჭოთა ქვეყნის
ვარ მოქალაქე“.

მაიაკოვსკის ისეთი პოემა, როგორიცაა „კარგია“ სავსებით არადამაკმაყოფილებლად არის თარგმნილი და ლექსის მაგიერ ქართულად უხეირო პროზა გამოდის. განსაკუთრებით ეს ითქმის მე-19 თავზე (მთარგმნელი გრ. ცეცხლაძე).

ნ. ა. ნეკრასოვი ქართულად თარგმნა გრ. ცეცხლაძემ. თარგმანი მეტად სუსტია, არ არის დაცული რიტმი, გამოტოვებულია სტრიქონები ბევრგან. მთარგმნელს ვერ გაუგია რუსული სიტყვები და არასწორად თარგმნის, მაგალითად აღვნიშნავ მხოლოდ კურიოზებს:

Стяжатель — თარგმნილია, როგორც წამგლეჯი (გვ. 23).

Волокнистый лен — თეთრი ბამბა, (გვ. 72).

ნეკრასოვს აქვს:

Не ветер гудит по ковыли,
Не **свадебный поезд** гремит, —

ცეცხლაძე თარგმნის:

ქარბუქი კი არ ჰკუფს გამძაფრებით,
არც მატარებლის ისმის რახრახი (გვ. 52).

მთარგმნელმა არ იცის, რომ **свадебный поезд** ქართულად მაყრიონია და პირდაპირ თარგმნის— მატარებელი რახრახებსო.

ნეკრასოვს აქვს:

До ночи пашню пахала,
Ночью я **косу клепала**,
Утром косить я пошла....

ცეცხლაძე თარგმნის:

საღამომდის ყამირი ვხანი,
ღამით მე თიბვა დავივარცხნე და
სათიბად წაველ მეორე დილით...

თურმე „косу клепала“ თიბვის დავარცხნა ყოფილა.

საერთოდ ნეკრასოვის ასე თარგმნას სჯობია სულ არ თარგმნილიყო. სამწუხაროა, რომ ჩვენი ლიტერატურის მცოდნეები, კრიტიკოსები და მეცნიერები ხშირად ასეთ უვარგის თარგმანს წარმატებად სთვლიან. ცეცხლაძის ამ თარგმანს წამძღვარებული აქვს წიგნის რედაქტორის პროფ. ს. დანელიას ასეთი შეფასება: „ქართველ მკითხველთა შორის ნეკრასოვი არ არის ჯერ კიდევ საკმაოდ ცნობილი, ერთი მიზეზი ამისა ისაა, რომ ნეკრასოვის ლექსების თავისებური სტილი აძნელებს მათ თარგმანს ქართულ ენაზე. მით უფრო მისასალმებელია პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე, რომელიც ძალიან ოსტატურად აზერხებს ნეკრასოვის ლექსის ამ სიძნელეების დაძლევას და აწვდის ქართველ მკითხველთა ფართო მასებს ადვილად ასათვისებელ ნეკრასოვს“.

უდავოა, ს. დანელიას ცეცხლაძის თარგმანი არ შეუდარებია ორიგინალისათვის, თუმცა ეს მისი მოვალეობა იყო, როგორც რედაქტორისა.

O

რამოდენიმე სიტყვა ერთფეროვნებაზე პოეზიაში. შარშან გამოვიდა ახალგაზრდა პოეტების ლექსების კრებული; რამდენიმე ახალგაზრდა პოეტებს ეტყობა მიღწევა, როგორიც არიან: ამისულაშვილი, კალანდაძე, მაყვალა მრევლიშვილი. ამათ ეტყობათ მიღწევები ახალი პოეტური ფორმებისა და სახეების ძიებაში.

დანარჩენები სწერენ 10 მარცვლიანი ლექსით, რომელშიაც არ იგრძნობა მათი ინდივიდუალური პოეტური სახე. მთელი ლექსების კრებულის 90 პროცენტი ამ ზომით არის დაწერილი და კიდევ უფრო პრიმიტიულია პროზის ნიმუშები.

ერთფეროვნება მარტო ახალგაზრდებს როდი ახასიათებთ. ნება მომეცით წაგიკითხოთ ერთი სანიმუშო ლექსი ბელადზე:

„ორი სამყაროს გადასჯერ დიდი
გასროლილ ტყვიის გამბედაობით,
ახალი ქვეყნის მართავ სადავეს
გზაზე, გაწრილზე რკინის თაობით...
მხრებზე შედგა ახალი ქვეყნის
მთელი სიმძიმე, რკინის მოუგავი,
ახალ ეპოქის ჩაავლე მიჯნა,
თან წარიტაცე წლობა მბრუნავი!..
ხალხმა ჩაგიდვა ხალხური გული,
გულს კი გმირობა, სიმაგრე მისცა,
გმირმა ქარიშხალს მისტაცე სული,
ხალხს გადაეცა სალამი მზისა...
შენი აზრი და არწივის თვალი
ბიბერი ქვეყნის ნაპირებს არღვევს,
შენ კლდის სიმკაცე მიეცი, სტალინ,
მილიონების კუნთებს და ძარღვებს...
გული ვულკანი, ძარღვები რვილის,
აღფრთოვანება გაქვს ახალ გზისა,
და შენს თვალებში თრთის მომავლის
სითბო და სივრცე ახალი მზისა...

ამ ლექსის ავტორები არიან: შ. აფხაიძე, ი. მოსაშვილი, ვ. ჟღრული, ს. შანშიაშვილი. ასე რომ ავტორების ცალ-ცალკე ლექსებიდან მაინც გამოდის ერთი ლექსი (სიცილი). დრო არ არის თორემ ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. (ხმები: წაიკითხეთ). მაგალითად ლექსებიდან კოლხიდაზე: (კითხულობს).

„იყო ვაება, სევდა უძირო
და თავის დახსნის უგზო ძიება,
ტყდებოდა ბნელი ღამე უძილოდ,
ხალხი ებრძოდა დამპალ ციებას.
აქ კოღოები ერთი მოტივით
უმღერდნენ წვიმებს, სოველ ნეშოებს,
მზეზედაც იყო აქ სინოტივე,
დღეები ჰგავდნენ დიდ გომბეშოებს.
აქ ლორწო იყო, აწყლი, ჯაგები,
შეცხებდნენ ლიქვარდებს ტბანი;
დამბრჩვალ, დამბწვარ ფარშავანგივით,
ტბორში მოჩანდა ზაფხულის ტანი.
მაგრამ ამ შავს დროს ბოლო მოეღო,
დიდი ოქტომბრის დიდმა ბრძოლებმა.
დიდად მომავალს კარი გაეღო
გამარჯვებულმა ხალხმა მშრომელმა...
შეხედე ახლა როგორ დატორა
ძრავმა მზიდავმა ათასი ტონის!
დღეს ჰოლანდიაში მიდის ტრაქტორი,
ექსკავატორი მძლე, უბატონი.
ეს გაზაფხულის დილა ქათქათა
და ეს დილის მზე ასე დიადი,—
ბლოშით უკვდავმა ხელმა დახატა,
როგორც უკვდავი დღის განთიადი!

ავტორები — კ. ბობოხიძე, ვ. გაფრინდაშვილი, დ. გაჩეჩილაძე, ს. ხიდისთაველი, ა. ქუთათელი, ა. ადამია.

ახალგაზრდა პოეტების კრებულში შეხვდებით ასეთ იაფ შედარებებს, როგორც მაგალითად:

„დარიალს დაჯახებული ვეფხვი“
(თერგზეა ლაპარაკი)

ცხენის გარბენა შედარებულია ისრის ფრენასთან. თოვლიანი მწვერვალები — თეთრ ნაბადში გახვეულებადაა წარმოდგენილი.

ხშირად ვხვდებით რითმების სისუსტესაც. იხმარება მაგალითად ასეთი რითმები:

ბნელოდა—მღეროდა
სხლტებოდა — იკიბრებოდა
ტყეებს — ხეებს
ხმიანი—თმიანი
წავიდნენ — გაუჩხავნიდნენ
დავიწყერო—დავაკეროთ (შ. გელოვანი).
ღიმილი—შხივილი
მოწყურებული — მოსხურებულა
კრიალი—წკრიალი
თბილად—ტკბილად (შ. ფოფხაძე).
გაშლილი—წაშლილი
ყინავს—აზინავს
მხარის — ღამე (ა. საჯაია).

ახალგაზრდა პოეტებს განსაკუთრებით მოეთხოვება მუშაობა რითმაზე. უნდა ერიდონ მზამზარეულ, წინაპრების მიერ დამუშავებული რითმების გამოყენებას.

კრებულში მოთავსებული ლექსების დიდი ნაწილი პრიმიტიული სახეებით და განცდებით არის დამძიმებული. მათთვის უცხო არაა დეკადენტური ბუნდოვანება, უიდეობა, მაგალითად. შ. გელოვანი ლექსში „ხევსური“ სწერს: „ნისლის ბინა ავიშენო“ ან და „ღამე ღამეს გაეკიდა, ღამე დასერეს“, იქვე:

„მე ხიფათმა დამიტანა,
ველარ დავხოც რთველში ხარებს,
ველარ მოვალ ტანლატანა
სოფელს ველარ გავახარებ“.

O

ქართული მხატვრული პერიოდიკა სისტემატიურად არ იბრძვის მხატვრული შემოქმედების მაღალი ოსტატობისათვის. „ლიტერატურულმა საქართველომ“, „მნათობმა“ და სხვ. რატომღაც წაიყრუეს თავი იმ დისკუსიებზე, რომლებიც გაიმართა მოსკოვსა და ლენინგრადში ამ უკანასკნელ ხანებში. მათ საჭიროდ არ სცნეს გადმოებეჭდათ ამხ. ფადეევის ცნობილი წერილი „პრავდა“-დან და არც პრაქტიკულად გამოხმაურებიან ამ წერილს. გამოხმაურებად არ ჩაითვლება „ლიტერატურული საქართველოს“ 15 მაისის მეთაური, რომელშიც გაზეთი სხვათაშორის სწერს: „კრიტიკის უდღეობლყოფის ნიადაგზე წარმოიშვა ჩვენში ერთი უხეირო ჩვეულება. ეს ჩვეულება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ბოლო ხანებში თითქმის ყველა წიგნი, ყველა მხატვრული ნაწარმოები, მიუხედავად მათი მხატვრული ხარისხის სხვადასხვაობისა, ერთნაირ შეფასებას ღებულობს. ყველა მათგანი ერთი და იმავე იარლიკით შედის „ოქროს ფონდში“, ყველა მათგანი „დიდი მიღწევაა“, არა მარტო ავტორისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურისათვის“. არის შემთხვევები, როცა მწერალს ნაწარმოების ფორმალურ სილატაკეს აპატიებენ და ყველაფერს თემის აქტუალობაში გაურბიან ხოლმე. არის შემთხვევები, როცა მხატვრული ნაწარმოების სუსტ მხარეებზე თვალს ხუჭავენ იმ მოტივით, რომ ავტორი სახელოვანი მწერალია. არის შემთხვევები, როცა სუსტი ნაწარმოების წინაშე დათმობაზე მიდიან იმ საბაბით, რომ ავტორი ახალგაზრდაა. არის შემთხვევებიც, როცა შემდეგნაირად მსჯელობენ: მართალია, ნაწარმოები იდეურად ღარიბია, მაგრამ სამაგიეროდ ავტორი სიტყვის ბრწყინვალე ოსტატიაო“. მეთაური პრეტენზიოზური სათაურით „ბოლშევიკური კრიტიკისათვის“ სავსეა ასეთი საერთო უმისამართო ადგილებით. გაზეთმა ვერ გაბედა ვერც ერთი მწერლის გვარის დასახელება, ვერ გაიგებთ ვინ არიან ისინი, ვინც ყველა ნაწარმოებს „ოქროს ფონდში“ ათავსებს, ვისია ეს სუსტი ნაწარმოებები, ვის წინ მიდის კრიტიკა დათმობაზე, ან რომელი ნაწარმოები, თუ რომელი მწერალია უმართებულოდ შეფასებული. გაზეთმა ვერ გაბედა ამ მისამართის ჩვენება.

ამხ. შ. რადიანი მართალია, გამოეხმაურა ამხ. ფადეევის წერილს 20 სექტემბერს თავისი წერილის „კრიტიკის საკითხები“ გამოქვეყნებით. მაგრამ ამ წერილშიც იშვიათად შეხვდებით ქართველი კრიტიკოსის, ან მწერლის გვარს. აქაც ბევრი რამ უმისამართოდ და საერთოდ არის ნაჩვენები.

„ლიტერატურულ საქართველოში“ იბეჭდება ჩვენი მოწინავე კრიტიკოსების შ. რადიანის, გ. ქიქოძის, ბ. ჟღენტის, პ. ინგოროყვას, ვ. წულუკიძის, დ. ბენაშვილის, ა. სულავას, გ. ნატროშვილის, აკ. გაწერელიას, ე. ასტვაცატუროვის და სხვების წერილები ჩვენი პოეტების და პროზაიკოსების შემოქმედებაზე, მაგრამ კრიტიკოსები ამ წერილებში დიპლომატიური პრინციპით უფრო ხელმძღვანელობენ, ვიდრე საქმიანი კრიტიკით. მათ სურთ საქმე ისე მოახერხონ, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. ასეთი კრიტიკული წერილები მიზანს ვერ აღწევენ.

ჩვენი კრიტიკა თითქოს გადაეჩვია სიმართლის თქმას. თითქმის ყველა მოხსენება, ყველა წერილი ხელაღებით ქებას წარმოადგენს ამა თუ იმ ნაწარმოებისა და მთლიანად მწერლის შემოქმედებისას. ხშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ მწერალს ადარებენ მზეს, ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავს და ვერ ნახულობენ მასზე ნაკლოვანებების ვერავითარ ლაქას, მაშინ როდესაც ნამდვილ მზესაც კი ლაქა თან ახლავს. ხშირად ასეც ხდება—კრიტიკოსი სულ სხვა შეხედულებისაა მწერალზე და მის ნაწარმოებზე კერძო საუბრის დროს, პრესაში კი სულ საწინააღმდეგო აზრებს გამოსთქვამს. კარგია მწერლის წახალისება, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ სიმართლე არ უთხრა? სიმართლის მიჩქმალვა თვით მწერალს ვნებს. განა არ შეიძლება ამხანაგური კრიტიკით აუხსნა და დაანახვო მწერალს თუ რა სუსტი მხარე აქვს მას? ამ კრიტიკულ წერილებს ჩვენი მოზარდი თაობა კითხულობს და არა თუ მხოლოდ კითხულობს, სჯერა მისი და მასზე იზრდება. რა სამსახური უნდა გაუწიოს მოზარდ თაობას წერილმა, რომელიც გულწრფელად არ არის დაწერილი? რატომ ვერ ბედავენ კრიტიკოსები დაუფარავად ილაპარაკონ ამა თუ იმ ნაწარმოებზე. განა ჩვენს კრიტიკოსებს არ შეუძლიან გამართული ობიექტური კრიტიკული წერილების წერა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეუძლიათ, ვინაიდან ჩვენ გვყავს მომზადებული და ლიტერატურული გემოვნების მქონე კრიტიკოსები, მაგრამ საქმე იმაშია რომ მწერლების ნაწილი რატომღაც გამაყებულია და ვერ იტანს პირუთვნელ კრიტიკას, ზოგჯერ ასეთნი უდიერადაც უმასპინძლდებიან კრიტიკოსებს. [illegible] ამხ. ს. შანშიაშვილის გამოსვლა თეატრალურ მუშაკთა [illegible] მხატვრულ კრიტიკაში.

თუ ლიტერატორად არ მივიჩნევთ იმას, ვინც ერთი-ორი მჭლე ლიტერატურული ნაწარმოების გამო მიეცემა თვითდამშვიდებას და თვითკმაყოფილებას, ვინც მუდამ რიზონიორობს და არასოდის არ ქმნის, არამედ მივიჩნევთ იმას, ვინც მუდამ ძიებაშია, ვინც აზროვნებს იმისათვის, რომ იმოქმედოს, ვინც თავის თავსაც არ ინდობს—ამჟღავნებს თავის შეცდომებს და სწორედ ამ გზით აღწევს ახალ და ახალ ჭეშმარიტებას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რიგ ქართველმა მწერლებმა უნდა გადახედონ საკუთარი თავის შეფასებას, გამოაშკარავონ საკუთარი ნაკლოვანებანი და მოუმატონ შემოქმედებით მუშაობას.

O

ზემოთ ჩვენ დავასახელეთ რამოდენიმე კარგი დრამატურგიული ნაწარმოები. გარდა ამისა, ჩვენში ბევრი იწერება პიესები. მაგრამ ზოგიერთი მათგანი ხარისხით ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენს განკარგულებაში მყოფი პიესების დიდი ნაწილი მშრალი აგიტკებია, რომელთა სცენიდან ჩვენება ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა მაყურებლის მზარდ მოთხოვნილებებს. „ჩვენი წიგნების ძირითად გმირად,—გვასწავლის მ. გორკი,—უნდა ავირჩიოთ შრომა, ე. ი. ადამიანი, რომელსაც შრომის პროცესები ქმნის, პროლეტარიატის რევოლუციური თვითშეგნების განვითარება, მისი სიყვარული სამშობლოსადმი, რომელსაც ის ქმნის. სამშობლოს დაცვა — ლიტერატურის ერთ-ერთი არსებითი მოვალეობაა“. დიდი მწერლის ეს მითითება შეეხება არა მარტო პროზას, არამედ დრამატურგიასაც. ჩვენი დრამატურგები უნდა ქმნიდენ დრამატურგიულ ნაწარმოებებს გამომდინარე ჩვენი საბჭოთა თეატრების მაყურებელთა მზარდი მოთხოვნილებებისაგან.

მართალია, ჩვენი დრამატურგები: შ. დადიანი, ს. კლდიაშვილი, ვ. გაბესკირია, ს. შანშიაშვილი და სხვები ამჟამად სწერენ პიესებს, მაგრამ ორი-სამი პიესა საქართველოში არსებულ ათეულ თეატრებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებს. საჭიროა ვიზრუნოთ დრამატურგიულად კარგად შეკრულ პიესებზე, სცენარებზე და ლიბრეტოებზე.

O

დაბოლოს ორიოდე სიტყვა მწერალთა კავშირის მუშაობაზე. აქ გამოსულ მოკამათე ამხანაგების ნაწილი მთავარ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რატომ არ დაასახელა მომხსენებელმა ამხ. მაშაშვილმა თავის მოხსენებაში ესა თუ ის მწერალი. ნუთუ შეიძლება გამოინახოს ისეთი მომხსენებელი, რომელსაც შეიძლოს საათნახევრიან მოხსენებაში მოათავსოს ორასამდე მწერლის განხილვა? მარტო გვარების ჩამოთვლა ხომ არ არის საკმაო? ჩემის აზრით მწერალი კი არ უნდა ცდილობდეს იმას, რომ შეაფასოს მხოლოდ მომხსენებელმა, არამედ მწერალი უნდა ცდილობდეს, რომ მკითხველმა შეაფასოს და მიიღოს ის. აქ კი საჭირო იყო ეს ამხანაგები შეჩერებულიყვნენ მწერალთა კავშირის მუშაობის სუსტ მხარეებზე და შემოქმედების საკითხებზე. ეს განსაკუთრებით საჭირო იყო იმიტომ, რომ მწერალთა კავშირის მუშაობაში საქმე გვაქვს რიგ ხარვეზებთან. ცნობილია, რომ სამდივნოს და პრეზიდიუმის საქმიანობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ კავშირის წევრს — მწერალს ხელი შეუწყოს შემოქმედებით მუშაობაში, საამისო პირობები შეუქმნას. ამას მოითხოვენ მწერლები და ეს მოთხოვნილება სამართლიანია. მაგრამ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ხშირად არც იცის თუ კავშირის რომელ წევრს რა აწუხებს, რა სიძნელეები ელობება მას შემოქმედებითი მუშაობაში, რაა საჭირო იმისათვის, რომ მწერალმა კარგი მხატვრული პროდუქცია მოგვცეს.

მწერალთა კავშირში არსებული სექციების მუშაობაც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მართალია, სექციები აწყობენ დისპუტებს და ახალ ნაწარმოებების კითხვა-განხილვას, მაგრამ ეს საღამოები ხშირად ვერ იძლევიან სასურველ შედეგებს. სექციებს დიდი აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება შეუძლიათ, თუ მეტის პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს მისი ხელმძღვანელები.

თუ მწერალთა კავშირის სექციები მეტის ენერგიით და პასუხისმგებლობით იმუშავებენ, ამით აუცილებლად ისინი ხელს შეუწყობენ ნაწარმოებთა ხარისხის ამაღლებას.

მწერალთა კავშირის მუშაობაში მნიშვნელოვან ნაკლოვანებათა არსებობა უნდა აიხსნას პრეზიდიუმის სუსტი მუშაობით. რატომღაც ამხანაგებს ჰგონიათ, რომ კავშირის მუშაობაზე პასუხისმგებელია მხოლოდ მდივანი. ეს მცდარი შეხედულებაა. საჭიროა პასუხისმგებლობა გავუზიაროთ პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებსაც. საჭიროა ახლად არჩეულმა გამგეობამ და პრეზიდიუმმა საფუძვლიანად გარდაქმნას მუშაობა, მეტი ყურადღება მიაქციოს შემოქმედებით საკითხებს. ამისათვის ჩვენ გვეჭნია ყოველგვარი პირობები. (ხანგრძლივი ტაში).

---

¹) იბეჭდება შემოკლებით.

# საქართველოს მწერალთა ლიტერატურული ფონდი

## ამხ. ილო მოსაშვილის მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე

ამხანაგებო! მწერლის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული მის საყოფაცხოვრებო პირობებზე, იმაზე, თუ როგორი აქვს მას მოწყობილი თავისი ოჯახი, თავისი პირადი ცხოვრება, საბინაო პირობები, დასვენება, მკურნალობა და სხვ.

სწორედ ამ პირობების გაუმჯობესების მიზნით, საბჭოთა მთავრობის სპეციალური დადგენილების საფუძველზე, თავის დროზე საბჭოთა მწერლების კავშირებთან ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შექმნილ იქნა სპეციალური ორგანიზაცია ლიტერატურული ფონდის სახელწოდებით. მე დავალებული მაქვს საქართველოს საბჭოთა მწერლების მე-2 ყრილობას ჩავაბარო ანგარიში საქლიტფონდის მუშაობის შესახებ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ვეცდები ჩვენი მუშაობიდან მოვიყვანო მხოლოდ დამახასიათებელი ციფრები და ფაქტები.

ჩვენი ლიტერატურული ფონდის ახალი გამგეობა და დირექცია თავის მუშაობას შეუდგა ამ ორი წლის წინ, ე. ი. 1937 წლის აგვისტოს დამლევიდან.

როგორც მოგეხსენებათ, ის პირნი, რომელნიც ამ დრომდე საქლიტფონდის სათავეში იდგნენ, როგორც გამგეობაში, ისე დირექციაში, ზოგიერთნი აღმოჩნდნენ პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი ადამიანები და რადგან ისინი კარგა ხანს „მოღვაწეობდნენ“ ლიტფონდში, გასაკვირიც არ არის, რომ მათ ეს ორგანიზაცია თითქმის სრულს განადგურებამდე მიიყვანეს.

იმის მაგიერ, რომ ლიტფონდს თავისი პირდაპირი ფუნქცია შეესრულებინა მწერალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში და მათთვის შემოქმედებითი მუშაობა გაეადვილებინა, ამ ვაჟბატონებმა ეს დაწესებულება გადააქციეს ნახევრად სავაჭრო-საწარმოო ორგანიზაციად, რომლის აპარატში თავი ჰქონდათ მოყრილი დიდად დახელოვნებულ კომბინატორებს და სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებმაც ასეულ ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს ამ დაწესებულებას.

ლიტფონდის ახალი გამგეობის და დირექციის ამოცანა იყო რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოეყვანა დაწესებულება ამ ქაოტიური მდგომარეობიდან, გადაეხალისებინა სრულიად ფუარგისი და მოშლილი აპარატი და უმალვე შესდგომოდა იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც მას ჩვენი მწერლობის წინაშე ეკისრა.

ჩვენი მუშაობის გარდაქმნასა და მავნებლობის შედეგთა ლიკვიდაციაში ძირითადი და გადამწყვეტი წელი იყო წარსული 1938 წელი, ამ წელიწადს ჩვენ შევძელით სრული გარდატეხა მოგვეხდინა ყველა ჩვენი საშემოსავლო და სახარჯო გეგმების შესრულების საქმეში. ასე, მაგალითად, საშემოსავლო ნაწილში ჩვენი გეგმის შესრულება 1938 წელს იძლევა შემდეგ სურათს: ანარიცხების შეკრება სანახაობებიდან შესრულებულია — 154,5 პროცენტით, ანარიცხების შეკრება გამომცემლობებიდან 111,6 პროცენტით და შემოსავალი საწევრო გადასახადებიდან —110 პროცენტით. სულ ჩვენი შემოსავალი შეადგენდა 236.400 მანეთს (გეგმა შევასრულეთ 140,1 პროცენტით).

რაც შეეხება დაგროვების გეგმას, ჩვენ აქ იგი 182,1 პროცენტით შევასრულეთ.

საქლიტფონდის ცხოვრებაში ეს წელი პირველი წელი იყო, როდესაც მან თავისი საშემოსავლო გეგმა არამც თუ შეასრულა, არამედ მას მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

ცხადია, ამ პირობებში, როდესაც საფუძვლიანად გარდავქმენით და გავაუმჯობესეთ ჩვენი მუშაობა, საშუალება მოგვეცა ჩვენი წევრების მომსახურებაც მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა.

1938 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ რომელიმე მწერლისათვის უარი გვეთქვა დახმარების აღმოჩენაზე.

1938 წელს ლიტფონდის მიერ მწერლებისათვის სხვადასხვა დახმარების სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 579,400 მანეთი. ხოლო ამავე წელს ლიტფონდის სახელოსნოებმა—ჩვენს მწერლებს და მათი ოჯახის წევრებს მომსახურება გაუწიეს 135,700 მანეთის რაოდენობით.

მაგრამ ლიტფონდის მიერ გაწეული ხარჯები მწერალთა დახმარებისათვის არ იქნებოდა საკმარისი და სავსებით რაციონალური, რომ ამავე დროს ჩვენ არ გვეზრუნა მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის ხელშეწყობისათვის ისეთივე სახლის მოწყობით. როგორიც აქვთ ყველა ჩვენს მოძმე რესპუბლიკებს მწერალთა შემოქმედებითი სახლების სახით.

საქმე ისაა, რომ მიუხედავად დიდი დახმარებისა, რომელსაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მწერლობას უწევენ, ჯერჯერობით ჩვენ კიდევ ვერ შევძელით მწერალთა საკმაო ნაწილის საჭირო საბინაო პირობებით დაკმაყოფილება. იმისათვის, რომ ამ ამხანაგებისათვის გაგვეადვილებინა შემოქმედებითი მუშაობა, საჭირო იყო გვეზრუნა ისეთი სახლის მოწყობისათვის, სადაც ამ ამხანაგებს საშუალება ექნებოდათ იწარმოებინათ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიასეული სახლი სოფელ საგურამოში, საქ. საბჭოთა მწერლების ლიტფონდს ჩვენი მთავრობის მიერ გადაეცა ჯერ კიდევ 1935 წელს. ლიტფონდის ძველი ხელმძღვანელობა უძლური აღმოჩნდა აეთვისებინა ის თანხები, რომლებიც მას განვლილი წლების მანძილზე ზედიზედ ეძლეოდა ამ სახლის შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის. ჩვენი ამოცანა იყო რაც შეიძლება მოკლე ხანში მიგვეღო ეს სახლი და მისი შეკეთებისა და მოწყობისათვის საქ. ლიტფონდის გამგეობისაგან მოცემული თანხები აგვეთვისებინა. მიმდინარე წელს ჩვენ უკვე შევძელით ამ სახლის ექსპლოატაციას შევდგომოდით.

სახლის ეზოს შემოვლობეთ—ხის კარგი მოაჯირით შემოვავლეთ 8 ჰექტარ მამულს, რომელზეც ათას ძირამდე ხეხილი და ნახევარი ჰექტარი ვენახია გაშენებული. გამოყვანილია ერთ კილომეტრზე ცოტა ნაკლებ მანძილზე წყალსადენი საკმაოდ მოზრდილი საბანაო აუზით.

კაპიტალურად შეკეთებულია ილიასეული 13 ოთახიანი სახლი. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მწერალთა შემოქმედებითი სახლი საგურამოში მოწყობილია კარგად და თვითეულ ამხანაგს შეუძლია დასასვენებელი სახლის პირობებში იცხოვროს იქ და ნაყოფიერად იმუშაოს.

ჩვენ შევძელით ამ სახლთან ისეთი მეურნეობის შექმნა, რომელსაც სამი-ოთხი წლის შემდეგ შეეძლება თითქმის სავსებით დაჰფაროს ამ სახლის ყველა ხარჯები. მარტო წელს ჩვენ ამ მეურნეობიდან მივიღებთ ხარჯთაღრიცხვით სრულიად გაუთვალისწინებელ დაახლოებით 12.000 მანეთს. ჯერჯერობით გასაკეთებელი დაგვრჩა ელექტროგაყვანილობა, რისთვისაც წინასწარი სამუშაოები უკვე ჩატარებულია, ხარჯთაღრიცხვაც შედგენილია, საჭირო თანხაც მოვიპოვეთ, მხოლოდ ზოგიერთი მასალების უქონლობა ხელს გვიშლის ეს საქმეც საბოლოოდ დავამთავროთ.

გარდა ზემოაღნიშნული დახმარებებისა, რომელიც ჩვენს წევრებს აღმოვუჩინეთ, 1938 წელს ამხანაგებს დავეხმარეთ, როგორც ჩვენი საავარაკო სახლით სოფელ ქვიშხეთში, აგრეთვე იქვე კერძო აგარაკების დაქირავებითაც.

1938 წელსვე საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ჩვენი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის სრულიად უსასყიდლოდ მივიღეთ სახკომსაბჭოს კუთვნილი ფოტოწარმოება, რომლის ღირებულება ბალანსით დაახლოვებით 120.000 მანეთს შეადგენდა. საერთოდ კი ლიტფონდს 1938 წელს ჰქონდა შემდეგი წარმოებები და სახელოსნოები: ფეხსაცმელისა და სამკერვალო სახელოსნოები, რომელთაც მხოლოდ მწერალთა მომსახურების დანიშნულება აქვთ და სამხატვრო, სამკინძაო და ფოტოწარმოებები. ამ სახელოსნოებმა და წარმოებებმა 1938 წელს მოგვცეს ის დაგროვება, ყველა გეგმების მნიშვნელოვანი გადაჭარბებით, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

რაც შეეხება 1939 წელს, მას ჩვენ უფრო მომზადებული შევხვდით და გაცილებით უფრო ნორმალურ პირობებში განვაგრძეთ მუშაობა.

წელს ჩვენ უნდა ვცდილიყავით ჩვენი დაწესებულების მუშაობა ისე დაგვეწყო, რომ უფრო მეტი ეფექტი მოეცა მწერალთა შემოქმედებითი მუშაობისათვის ხელის შეწყობის საქმეში. მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების დროს საქ. ლიტფონდის გამგეობაში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ მოძმე რესპუბლიკების ლიტფონდებს უფრო ნაკლები საშუალო ნორმა ჰქონდათ მიცემული მწერალთა დახმარებისათვის, ვიდრე ამჟამად გვაქვს. წარსულ წლებში საშუალოდ, თვითეულ მწერალზე ლიტფონდს შეეძლო დაეხარჯა არა უმეტეს 1.800 მანეთისა, წელს კი იხარჯება 2.100 მანეთი. გარდა ამისა, წელს მარტო საკლუბო მუშაობისათვის მივიღეთ 100.000 მანეთი, რომელთაგან 75.000 მანეთი უკვე მივეცით მწერალთა კავშირის კლუბს.

წარსულ წლებში ჩვენს ხარჯთაღრიცხვაში არ იყო აგრეთვე გათვალისწინებული თანხები შემოქმედებითი მივლინებებისათვის. ჩვენ მიერ ეს საკითხიც მოგვარებულ იქნა და წარსული წლის ოქტომბრის შემდეგ დღემდე, ჩვენს მიერ, მწერალთა მნიშვნელოვან ნაწილს მიეცა 63.250 მანეთი.

გარდა ამისა, მწერალთა ინდივიდუალური აგარაკების მშენებლობისათვის მივიღეთ 120.000 მანეთი, რომლის ნახევარიც ჩვენს მიერ წელსვე იქნება ათვისებული, მეორე ნახევარი კი მომავალი წლის დამდეგს. აგარაკების პროექტები და ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია, დამტკიცებული და საგარაკო ნაკვეთის გამოყოფის შემდეგ, რომელსაც მახლობელ დღეებში საქ. სახკომსაბჭოსაგან ველით, შევუდგებით მათს მშენებლობას სოფელ საგურამოში მწერალთა შემოქმედებითი სახლის მახლობლად.

მიმდინარე 1939 წ. პირველი ნახევრის ანგარიშის შედეგების მიხედვით, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს წელი უფრო მეტი წარმატებით იქნება დამთავრებული, ვიდრე წარსული წელი იყო.

ამხანაგებო, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საქლიტფონდის ურთიერთობა ჩვენს განყოფილებებთან აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქში და ქუთაისში წარსულში და დღეს. საქართველოს ლიტფონდის ყოფილი ხელმძღვანელობა სრულიად უყურადღებოდ, თუ მეტი არა, ეკიდებოდა ჩვენი ამხანაგების ინტერესებს ჩვენს ძმურ ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ჩვენს ყრილობას ესწრებიან ჩვენი აფხაზი, აჭარელი, ოსი და ქუთაისელი მწერლები და, ვფიქრობ, ისინი მიუდგომლად აღნიშნავენ, რომ ჩვენ არ გვქონდა არცერთი შემთხვევა მათთვის თავის დროზე არ გადაგვეგზავნოს კუთვნილი თანხა. პირიქით, არაერთი და ორი შემთხვევა გვქონდა, ამ თანხების გარეშე, მათი წევრებისათვის მნიშვნელოვანი ერთდროული დახმარებისა ან საგზურის გაცემისა ჩვენი სახსრებიდან.

განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული აგრეთვე ახალგაზრდა მწერლების დახმარების საქმეს. საქლიტფონდის მიერ სტიპენდია ეძლეოდა და ეძლევა იმ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაც უკვე თავი გამოიჩინეს სალიტერატურო ასპარეზზე; გარდა ყოველთვიური დახმარებისა, ლიტფონდი მათ აძლევდა ერთდროულ დახმარებას და შემოქმედებითს მივლინებებსაც.

ამხანაგებო, მე არ მინდა თქვენ ისე წარმოიდგინოთ საქმე, თითქოს საქ. ლიტფონდის მუშაობაში არავითარი დეფექტს და ნაკლს ადგილი არ ჰქონდეს.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ჩვენი მეურნეობის ისე მოწყობა, რომ სწორად ვიცოდეთ ანგარიშიანობის დაყენება წარმოებებში. ვერ შევძელით ჩვენს წარმოებებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლა და სტახანოველთა გამოვლინება, რომელნიც უსათუოდ გვყავან ჩვენ და რომელთა მეოხებითაც ორი წლის მანძილზე ზედიზედ წარმატებით ვასრულებთ ჩვენს გეგმებს.

ამხანაგებო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა მზრუნველობას იჩენს ლენინ-სტალინის პარტია და ჩვენი მთავრობა მწერლობისადმი. ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ოცამდე ჩვენმა ამხანაგმა მიიღო საუკეთესო ბინები. მე სრული საფუძველი მაქვს განვაცხადო, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების ეს მტკივნეული საკითხი მახლობელ დროში თანდათან და სავსებით იქნება მოგვარებული.

ჩვენ ვცდილობდით ვყოფილიყავით გულისხმიერი ჩვენი ამხანაგებისადმი მატერიალური ხელმოკლეობის დროს, ავადმყოფობისას. მე მჯერა ბევრი ჩვენი ამხანაგისთვის შეგვიწყვია ხელი, ბევრი კარგი მხატვრული ნაწარმოების შექმნაში. ის დიდი ყურადღება, რომელსაც ჩვენი მწერლებისადმი, ჩვენი ორგანიზაციისადმი ლენინ-სტალინის დიდი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იჩენენ, ჩვენი ლიტფონდის მომავალ ხელმძღვანელებს კიდევ უფრო გაუადვილებს მოაწყონ მწერალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმე, რაც აუცილებელი პირობაა ჩვენი ლიტერატურის შემდგომი აყვავებისა.

---

# დ ე მ ო ნ ი

### მ. ლერმონტოვი

(ნაწყვეტი).

I

მწუხარე დემონ, დევნილი სული,
ცოდვილ ქვეყანას თავს დაჰფრინავდა;
და მის ხსოვნაში ნათლად ბრწყინავდა
უკეთეს დღეთა შვენება სრული, —
დღეთა, როცა მას შუქთა მხარეში
მადლი ემოსა ქერუბიმისა,
როცა კომეტა სწრაფის თარეშით
ჩაუქროლებდა წინ სიწყნარეში
და მიაფრქვევდა პირზე ღიმილსა;
როცა შეცნობას მოწყურებული,
მუდმივ ბურუსში უჭვრეტდა იგი,
თუ ვით მიჰქროდა მნათობთა რიგი
ქარავნებად გამწკრივებული.
როცა უყვარდა, გაჩნდა რწმენა
ქვეყნის ბედნიერ პირმშო ქმნილებას,
ვიდრე იქვის და სიავის ჩენა
გამოიწვევდა მასში ცვლილებას;
როცა არ სჯიდა იმის გონებას
ქამთა ტრიალის უღრანი ტევრი...
და სხვა მრავალი, და კიდევ ბევრი,—
ვერ ძლიოდა ის მოგონებას.

II

ჭრუ სამყაროში, უარყოფილი,
დიდხანს დაძრწოდა ის ნაწამები,
და მიილტვოდნენ წინ, ვით წამები,
საუკუნენი დასტად წყობილი
ერთფეროვანის მდინარებითა.
უსიხარულო და უგრძნობელი
იგი, უმწეო მიწის მფლობელი,
მიწას ავსებდა ბოროტებითა.
მაგრამ არ სჩანდა მისი მგმობელი,
არსად უწევდა მოქიშპე ბრძოლას,
და ბოროტება მოჰბეზრდა ბოლოს.

III

ის, მოწყვეტილი სამოთხეს მარად,
კავკასიონის მთით მიღელავდა,
მის ქვეშ მყინვარი, ალმასის დარად,
მარადიულის თოვლით ელავდა.
როგორც გრეხილი შავ სიბნელისა,
ვითა ნაპრალი, ბუდე გველისა,
დაკლაკნილიყო ძირს დარიალი;
მას შიგან თერგი, ისე ვით ლომი,
ფაფარაყრილი, ლოდებზე მხტომი,
თავაწყვეტილი რბოდა ღრიალით.
და მთის ნადირსა, ფრინველსაც ზევით,
ცად მოფარფატეს ლაჟვარდის რღვევით,
მისი ხმაური ყურთა სწვდებოდა.
ხოლო ოქროვან ღრუბელთ კრებული,
შორი სამხრეთით მოცურებული,
ჩრდილოეთისკენ თან მიჰყვებოდა.
შემჭიდროებით შეყრილნი კლდენი,
მდუმარენი და გარინდულები,
მას დაჰყურებდნენ თავ-ჩარგულები,
გულგართობილნი ტალღების დენით...
ნისლში მოსჩანდენ ხან-მონათევი
ციხე-კოშკები მტკიცენი, მყარნი—
მოკარაულე გოლიათები
კავკასიონის კარებთან მდგარნი!
იყო საკვირველ, იყო დიადი
ქვეყანა ღვთისა; მაგრამ ზვიადი
სული, მქროლავი, როგორც გრიგალი,
ავლებდა ირგვლივ დამცინავ თვალსა,
და არ აჩნდა ზრახვათა კვალსა
მისი მაღალი შუბლის ფიქალი.

თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა

---

# ს ო ნ ე ტ ე ბ ი

### ვალერიან გაფრინდაშვილი

### ლადო კეცხოველი

შენ არ გზიდავდა საოცნებო ღრუბლების ქოლა,
გიყვარდა გრძნობით რომანტიულ პოეტის ლოლა.
ხალხის იარებს განიცდიდი საკუთარ წყლულად,
გაფურცვნის რუკას შენ ხაზავდი კარნიზის სვლაში.

მტერზე მეტეხშიც იერიში მიგქონდა გრძლად.
ჭექდა, გრგვინავდა აჯანყება შენს აწყვეტილ ხმაში.
ვაჟკაცის თვალი გაუსწორე შენ თოფის ლულას,
და კვლავ იწვევდი ბოროტებას სასტიკ ბრძოლაში.

გავარდა თოფი. დაიღვარა სისხლი სპეტაკი.
უკანასკნელად ციხის კედელს შენ დაეტაკე.
კვალდაკვალ მოგყვენ საბრძოლველად ჭაბუკნი შემდეგ.

თავგანწირულო შევარდენო, გვახსოვხარ დღემდე!
თვითონ ბელადი, ვით ღირსეულ გმირს, მოგიგონებს
და შენ გიძღვნიან პოეტები ლექსთა სტრიქონებს.

### დანიელ ჭონქაძე

სურამის ციხის საოცარი ხარ მშენებელი,
შენმა გენიამ ეს სიმაგრე კვლავ გამოსჭედა,
ასე პუშკინი დაეუფლა ბრინჯაოს მხედარს
და ფალკონეტის მთლად ივიწყებს მაყურებელი.

ჩაეც პირველად შენ მახვილი უდარებელი
ავ ბატონყმობის დუღლაავ, ცოდვიან ბნედას.
ო, შენ გვიჩვენე დალუპული ქალიზე დედა,
კეერზე ბატონი, სულისა და ხორცის მყვლეფელი.

შენ არ ზამავდი თვალგანაბულ ბისიკის ენას.
ადრე დაიწვი! არ იყავი შენ იღბლიანი,
უთუოდ გჯობდა თავის ბედით ორბელიანი.

ზურაბის მოთქმით ადუმებდი ბულბულთა სტვენას.
მტრები მზად იყვნენ გადაეგდოთ შენ მდინარეში.
დღეს-კი მოისპო სამუდამოთ მათი თარეში.

### აბესალომ და ეთერი

ნაზ ბატონიშვილს შეუყვარდა გლეხის ასული,
ვისთვისაც იყო ფრთამაღალი ორბი-გადია.
კაცის კანჭიდან ეთერ-ქალი დანაბადია.
ახლა ზის ტახტზე, მზის სხივებით შემოგარსული.

ბრაზობს მურმანი, შურიანი და ფერწასული.
ბედნიერება აბისალომს ვერ აჰპატია.
ღალატის ნისლში არა ერთი ცემე ათია
და განუმზადა შეყვარებულთ მან აღსასრული

დაჭრდომილ მეფეს უკვდავებას წყურია წყალი.
იგი მოიხმობს ვეზირის ცოლს, კიდევ ცოცხალი.
რა ნახა მეფე დაჩრდილული შავი ნაღველით,

ქალმა გულმკერდი გაიგმირა ოქროს მახვილით.
ერთად დამარხეს ეთერი და აბისალომი.
იმათ სამარეს სიყვარულის ამკობს ალამი.

### ტრისტანი და იზოლდა

გერონტი ქიქოძეს

შენს ოქროს თმიბით ელვარებდეს ლიქსი, იზოლდა,
და წინამძღოლი ჩვენი ტრფობის იყოს ტრისტანი.
მთელი სიცოცხლე, განწირულნო, თქვენ გაგიბრძოლდათ,
ხშირად იყავით დაკბრილული მრავალ ისარით.

ნეტა რა იყო დაფარული თქვენი მიზანი?
დიდ სიყვარულის ჯვაროსნები ხალხმა გიწოდათ.
თქვენმა სახმილმა ნაპირები აღარ იცოდა,
თითქოს გაიხსნენ თქვენს წინაშე ზეცის ცისანი.

ჩვენ ახლა ვიტრფით ალტაცებით თქვენს ორიოლებს:
ნესტანს, ტარიელს — გულდასერილთ, აღმორეულებს.
გვხიბლავს ესოდენ ძველი ტფილისი „ვისრამიანი“.

ო, ვინ დაფანტა უთვალავი ვარდნი, იანი?
ეს არის ცეცხლი, მიჯნურობა და სიყვარული,
გრიგალის ხელით ცის სიღრმიდან გადმოღვარული.

---

# კ ო ს ტ ა ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი

### ვასო გორგაძე

ოსეთის დიდმა პოეტმა, კოსტა ხეთაგუროვმა თავის შემოქმედებაში წრფელი მხატვრული ფერებით საუცხოოდ დაგვიხატა თვითმპყრობელობის დროს ოსეთის მშრომელთა აუტანელი ყოფა, მძიმე ეკონომიური პირობები. მან ღრმა პოეტურ სახეებში ნათლად გვიჩვენა თუ როგორ ნადგურდებოდა და ისპობოდა ოსი მშრომელი მოსახლეობა ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წყალობით. ოსეთის გლეხობის დიდ უმრავლესობას იძულებულს ხდიდნენ მიეტოვებიათ მიწები, სახნავსათიბი და გადახვეწილიყვნენ უდაბურ, ხრიოკ ადგილებში, მყინვარების ახლოს, სადაც მათ მოელოდათ სილატაკე, სიმშილი და ფიზიკური განადგურება.

პოეტი ზედმიწევნით იცნობდა მთის ღარიბთა ყოფა-ცხოვრებას. იგი თითონ მათი წრიდან იყო გამოსული.

კოსტა ხეთაგუროვი დაიბადა 1859 წელს ჩრდილო-ოსეთის აულ ნარში. დედა ბავშვობაშივე გარდაეცვალა. მამამ პატარა კოსტა მიაბარა გასაზრდელად თავის ნათესავს თითონ გაემგზავრა კავკავს (ქ. ორჯონიკიძე), სადაც იგი მსახურებდა. რამდენიმე წლის შემდეგ კოსტას მამამ მეორე ცოლი შეირთო. დედინაცვლის ხელში ბავშვის მდგომარეობა აუტანელი იყო. მაგრამ მამამ ჩქარა მოაშორა ბავშვი დედინაცვალს და წაიყვანა კავკავს. აქ იგი 1872 წ. მიაბარა რეალურ სასწავლებელში, შემდეგ სტავროპოლის გიმნაზიაში გადაიყვანა. გიმნაზიაში კოსტა სწავლობდა მეხუთე კლასამდე, სანამ სტიპენდიას მოუსპობდნენ. კოსტას გიმნაზიაშივე გამოაჩნდა მხატვრობის ნიჭი და აქვე დასწერა მან პირველი ლექსები რუსულ ენაზე. 1879 წ. კოსტა გაემგზავრა პეტერბურგს სამხატვრო აკადემიაში. მაგრამ, უსახსრობის გამო, აქაც დიდხანს არ დარჩენილა. იძულებული გახდა წამოსულიყო სამშობლოში. აქ გულმოდგინედ მიჰყო ხელი საზოგადოებრივ მუშაობას.

ჯერ კიდევ პეტერბურგში, სამხატვრო აკადემიაში ყოფნის დროს, კოსტა გაეცნო რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მწერლობას. აქ შეისწავლა ბელინსკის, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერები. მათი შემოქმედების ზეგავლენით იგი ვანმსჭვალა თვითმპყრობელობისადმი უდიდესი სიძულვილით. ჟანდარმერიის აგენტებმა მალე ამოიღეს კოსტა მიზანში. ორჯერ გადაასახლეს იგი თავის სამშობლოდან. უკანასკნელად, ხერსონში ყოფნის დროს კოსტა ავად გახდა ძვლის ტუბერკულოზით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა თავისი დის სახლში — სოფელ გეორგიევსკო-ოსეტინსკოეში 1906 წელს 1 აპრილს. აქედან პოეტის ცხედარი გადაასვენეს და დაკრძალეს ქ. კავკავში. გადასვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. პოეტის დასაფლავებაზე მონაწილეობა მიიღეს კავკასიის ერთა წარმომადგენლებმა. საფლავზე წარმოთქმულ იქნა სიტყვები, როგორც ოსურ, ისე რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

კოსტა ხეთაგუროვი სწერდა ორ ენაზე: ოსურად და რუსულად. ოსური ლექსები „ირონ-ფანდირის“ (ოსეთის ჭნარი) სახელწოდებით გამოიცა ცალკე წიგნად 1899 წელს. გამოცემა იმავე წელს იქნა აკრძალული.

კოსტას შემოქმედების მთავარ თემას — დაბეჩავებული, დაჩაგრული სამშობლო — ოსეთი წარმოადგენს.

მშობელი ხალხის მწარე აწმყო პოეტის სულში იწვევს მწუხარებას. მაგრამ იგი სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, პირიქით ცდილობს დანერგოს ხალხში უკეთესი მომავლის რწმენა.

კოსტა ხეთაგუროვი სიყვარულითაა გამსჭვალული მშრომელი მასისადმი. მას მტკიცედ სწამს, რომ ცხოვრებაში თავისუფლების იდეალების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მის დასაცავად აღსდგება თითონ მასა, ხალხი. ლექსი — „ტირილი სამშობლო მთებზე“ ასეთი მოწოდებით თავდება:

„ხალხმა თუ ისურვა,
კლდეს შეანჯღრევს,
„ჰეი, სად ხართ?
გვიშველეთ! ჩქარა! ვიღუპებით!“

სამშობლოს სიყვარულით, ღრმა პატრიოტიზმითაა შთაგონებული კოსტას ლირიკული ლექსები და პოემები. აღსანიშნავია ლექსი „არ დაიღვრო, არ მახსოვდეს“, სადაც პოეტი ასეთი მგზნებარე სტრიქონებით უმღერის სამშობლოს:

„მე ხალხი მიყვარს, თქმა არ უნდა
მიყვარს ქვეყანა,
ჩაგრულ-უმწეო და ობლები მე
მიყვარს გულით.
მაგრამ უფრორე მშობლიური — მე
ვმალავ განა? —
მიყვარს ღარიბი ჩვენი ხალხი,
ჩვენი აული“.

მთიელი ღარიბების ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იყო ქცეული. ერთის მხრით, მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობები, და, მეორეს მხრით, ბუნების მკაცრი სტიქიური მოვლენები გაუნათლებელს, უმწეო, ლატაკ მოსახლეობას სრული განადგურებით ემუქრებოდა.

„გვირაბს გვანან აულები,
ყოველ მხრიდან მოდის ზვავი;
წიაპრებმა ეანდერძეს
ზღვას და მეწყერს ჩვენი თავი.
(„ზამთარი“ თარგმ. მ. პატარიძის)

ღარიბი სასიძო, ხელგამოჯდ ახალგაზრდა მწყემსი (პოემა—„ვინ ხარ?“) მოსთქვამს თავის მწარე ბედზე. მას შეუყვარდა მდიდარი გლეხის ქალიშვილი. სატრფო თანახმაა გაჰყვეს ცოლად. მაგრამ მათ შეერთებას უშლის ის გარემოება, რომ საცოლეს მამა მცირე ურვადით არ კმაყოფილდება.

წოდებათა უთანასწორობას და ამ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტს უძღვნა პოეტმა საუცხოო პოემა „სასამართლოს წინაშე“. მწყემსი ესკი, ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, შეეცადა შებრძოლებოდა ძველ „უაზრო ადათებს“, მაგრამ თითონვე გახდა ამ ბრძოლის მსხვერპლი.

გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას გვიხატავს პოეტი პოემა „ფატიმაში“, სადაც იბრაჰიმისა და ფატიმას სახეებით პოეტმა წარმოგვიდგინა პატიოსანი მთიელი მშრომელები, რომელთაც ფიზიკურად ანადგურებს გადაგვარებული, გახრწნილი თავადიშვილი ჯამბოლათი.

დიდის ხელოვნებით გამოიყენა კოსტა ხეთაგუროვმა მდიდარი ფოლკლორი ოსურ ლირიკულ ლექსებსა და განსაკუთრებით, პოემებში.

პოემა „აფსატი“ ღრმა სოციალური შინაარსის ნაწარმოებია. მაღალ მყინვარებში მარმარილოს ტახტი უდგას აფსატის. მასთან ნადირის სათხოვნელად მიდის „ცხრა თავადი, ცხრა მხედარი“. აფსატი მათ უარით ისტუმრებს.

„სთქვა აფსატმა: „შენ გიჟი ხარ,
მაგათ როგორ მივცემ ნადირს,
სწორედ მათთვის ღარიბ გლეხებს
თუთიარი [1] სტაცებს ნახირს“.

აფსატი, სამაგიეროდ, დიდის გულისყურით ეპყრობა ღარიბ მონადირეებს:

„და დევგმირმა გახსნა შუბლი,
გლეხის თხოვნა აასრულა:
გადუგდეთ ირმის ჯოგი,
დახვდით სტუმრებს ვაჟკაცურად!“

ხალხურ სუჟეტზეა აგებული კოსტა ხეთაგუროვის ერთერთი საუკეთესო პოემა „სასაფლაოზე“. აქ პოეტი გვიხატავს დასაფლავების ძველ წესებს ოსეთში და აგრეთვე ოსი ხალხის წარმოდგენას საიქიოზე.

ოსურ ფოლკლორზეა წარმოშობილი აგრეთვე პოემა—ზღაპარი „მწყემსი“ და ავტობიოგრაფიული (დაუმთავრებელი) პოემა: „ხეთაგი“.

კავკასიისა და, კერძოდ, ოსი ხალხის გმირულ ბრძოლაზე მონარქიულ რუსეთის დამპყრობელთა წინააღმდეგ მოგვითხრობს ნაწყვეტი პოემისა „მტრალი კლდე“.

კოსტას შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთა შორის ძმობისა და სოლიდარობის იდეა. მან მთელი რიგი საუკეთესო ლექსები უძღვნა სხვადასხვა ერთა გამოჩენილ მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს: ლერმონტოვს, ოსტროვსკის, პლეშჩეევს, გრიბოედოვს და სხვ. ცნობილ ქართველ ხალხოსანს მიხეილ ყიფიანს რამდენიმე ლექსი უძღვნა.

ინტერნაციონალური გრძნობითაა გამთბარი კოსტა ხეთაგუროვის მრავალი ლექსი. ლექსში—„წინასწარმეტყველი მე არა ვარ“, პოეტი ამბობს:

„ქვეყანა ტაძრად, სიყვარული კი
სალოცავად
მაქვს და მსოფლიო-სამშობლოა,
სამშობლო ჩემი!“

კოსტა ხეთაგუროვი თავისი ეპოქის მოწინავე პროგრესული იდეების სიმაღლეზე იდგა. ინგლის-ბურების ომის დროს (1899—1902), როდესაც ინგლისი ტრანსვაალში აწარმოებდა ყაჩაღურ, იმპერიალისტურ ომს ბურების წინააღმდეგ—კოსტამ დასწერა ლექსი, სადაც იგი მიესალმება ბურებს და უსურვებს მათ გამარჯვებას.

პოეზიის გარდა, კოსტა ხეთაგუროვი ცნობილია, როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი. პუბლიცისტურ წერილებს კოსტა ათავსებს რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ამ წერილებში იგი გაბედულად ამხილდა თვითმპყრობელურ რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკის საშინელებას, მედგრად იბრძოდა ადმინისტრაციის თვითნებობისა და ოსეთის თავადაზნაურობის ძალადობის წინააღმდეგ.

კოსტა ხეთაგუროვი ფუძემდებელია აგრეთვე ოსური მხატვრობისა. დიდი ნიჭითა და მაღალი ოსტატობითაა შესრულებული მისი სურათები: „მთიელი ქალი მიდის წყალზე“, „ტებერდა“, პაელოვას სურათი და მრავალი სხვა.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებაზე იზრდება და სწავლობს ოსეთის თანამედროვე საბჭოთა პოეზია.

კოსტამ თავისი სიცოცხლე მთლიანად მშრომელი ხალხის საუკეთესო მომავალს შესწირა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს სტალინური ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე—გახდა შესაძლებელი კოსტა ხეთაგუროვის ნაწერების სრული კრებულის გამოცემა ერთსადაიმავე დროს რამდენიმე ენაზე.

ქართველმა საბჭოთა პოეტებმა დიდი სიყვარულით და აღფრთოვანებით შეასრულეს მოძმე ერის დიდი პოეტის თარგმანები.

---

[1] მტაცებელ ნადირთა მფარველი.

## ქართველი მწერლები წვევამდელებთან

ამ დღეებში კიროვის სახ. პარკში ორჯონიკიძის რაიონის გასაწვევ პუნქტზე წვევამდელებს ესტუმრენ ქართველი საბჭოთა მწერლები შალვა დადიანი, ილო მოსაშვილი და ალ. გომიაშვილი.

წვევამდელებს მგზნებარე სიტყვით მიმართა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ორდენოსანმა მწერალმა ამხ. შ. დადიანმა, მანვე წაუკითხა დამსწრეებს თავისი მოთხრობა „წალკოტი". პოეტებმა ილო მოსაშვილმა და ალ. გომიაშვილმა წაიკითხეს თავიანთი ლექსები წითელ არმიასა და საბჭოთა პატრიოტიზმზე.

წვევამდელებმა დიდის აღფრთოვანებით მიიღეს მწერლების გამოსვლები.

## მუდმივი კონკურსი საბჭოთა ნოველაზე

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის დადგენილებით წესდება მუდმივი კონკურსი საბჭოთა ნოველაზე — პატარა მოთხრობაზე. კონკურსი დაწესდა ჟურნალ „ოგონიოკის" წინადადებით და ტარდება საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და ჟურნალ „ოგონიოკის" მიერ.

ლაურეატების დასაჯილდოებლად დაწესებულია ყოველწლიური ლიტერატურული პრემიები: გორკის სახელობის პირველი პრემია — 10.000 მანეთი, ა. ჩეხოვის სახელობის მეორე პრემია — 7.000 მანეთი და გ. უსპენსკის სახელობის მესამე პრემია — 5.000 მანეთი. გარდა ამისა ნოველები „ოგონიოკის" რედაქციის შერჩევით დაიბეჭდება ჟურნალში და მათ ავტორებს მიეცემათ ჰონორარი ჩვეულებრივი წესით.

1939 წელს ჟიური გაარჩევს და მიუსჯის ჯილდოს იმ ნოველებს, რომლებიც გაგზავნილი იქნება ჟურნალ „ოგონიოკის" რედაქციაში მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე.

კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებანი და ლაურეატების გვარები გამოქვეყნდება ჟურნალ „ოგონიოკსა" და „ლიტერატურნაია გაზეტაში"

## ძველი ქართული ფრესკის დეკორატიული მემკვიდრეობა

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ პროფ. შ. ამირანაშვილის რედაქციით გამოსცა მხატვარ ნ. ტოლმაჩევსკაიას წიგნი „ძველი ქართული ფრესკის დეკორატიული მემკვიდრეობა". წიგნი მეტად საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს. მის ავტორს ნ. ტოლმაჩევსკაიას უდიდესი მუშაობა აქვს ჩატარებული ქართულ ფრესკის შესწავლისა და მისი კვლევის საქმეში.

აღწერილობით განყოფილებებში თავმოყრილია მრავალფეროვანი და საინტერესო მასალები, რომელიც მხატვარს შეუგროვებია ქართული ფრესკების მრავალ წლის განმავლობაში შესწავლის შედეგად. წიგნის ეს განყოფილებები ღირსშესანიშნავია არამარტო ხელოვნებათმცოდნეთათვის, არამედ მხატვართათვისაც.

მხატვრებს და განსაკუთრებით ახალგაზრდა კადრებს ეს წიგნი გაუწევს დიდს დახმარებას, ვინაიდან ავტორი მასში იძლევა ცნობებს ფრესკის მექანიკის შესახებ და აცნობს მკითხველს თავის შემოქმედებით ცდებს.

წიგნში დაბეჭდილია მრავალი ილუსტრაცია, რომლებიც ასახავს ძველ ქართულ ფრესკებს. ზოგი მათგანი წარმოდგენილია ასლებში, ზოგი კი წარმოადგენს მხატვრის მიერ გადმოღებულ დეტალებს. თავსართავები და ბოლოსაჰკაულები შექმნილია თვითონ მხატვრის მიერ. მხატვარს აქ გამოუყენებია ძველი ორნამენტული მოტივები და მინიატურები და ახალ გრაფიკულ მანერით გადაუმუშავებია ისინი.

წიგნი დაყოფილია შემდეგ თავებად: მხატვრულ კულტურათა ურთიერთ მოქმედება, ანტიურობის მემკვიდრეობა, შეთვისებულ მემკვიდრეობის მნიშვნელობა, ძველ საქართველოს ფრესკების კომპოზიციის ცალკე ელემენტები (მთის ლანდშაფტი), ტანსაცმლის ნაოჭები, არქიტექტორული ფორმები ფრესკებში, ადამიანის გამოსახულება ძველ ქართულ ფრესკებში, ორნამენტი, კომპოზიცია, ძველ ქართულ ფრესკების ფერწერის ხერხების ხასიათი. საქართველო და ძველი რუსეთი, მიღებულ მემკვიდრეობის გამოყენება, ტექნიკურ მოწყობილობათა ცდა, ფრესკული ფერწერის რაობა, მასალები, უძველეს დროის პერიოდის ტექნიკის თავისებურება, გრაფიტი, ძველი ფრესკის ფერწერის მიღწევათა გამოყენება, ფრესკულ ფერწერის პირადი ცდები.

წიგნს წამძღვარებული აქვს პროფ. შ. ამირანაშვილის მოკლე წინასიტყვაობა და ავტორის შესავალი წერილი.

წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, შეიცავს 84 გვერდს და ღირს 3 მან. და 50 კაპ.

## რაზე მუშაობენ აფხაზი მწერლები

აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია ამთავრებს რომანს, რომელშიც მოცემულია თავისუფალი აფხაზი ქალის ცხოვრება.

დ. გულია კარგა ხანია მუშაობს „ვეფხის ტყაოსნის" თარგმანზე. პოეტმა ამ დიდ ამოცანას წარმატებით დასძლია. პოემის თარგმნა უკვე მთავრდება. „ვეფხის ტყაოსნის" აფხაზური თარგმანი ამ მოკლე ხანში გამოცემულ იქნება აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

პოეტმა ლ. კვიწინიამ დასწერა პოემა დიდ სტალინზე და სწერს ახალ პოემას აფხაზეთის კოლმეურნეობათა ცხოვრებიდან.

პოეტმა კ. ახუმამ დაამთავრა სომეხი ხალხის უდიდესი ეპოსის „დავით სასუნცის" პირველი ნაწილის თარგმნა. ამავე დროს მუშაობს პიესაზე საკოლმეურნეო ცხოვრებიდან.

პოეტი კ. აჩბა სთარგმნის ოსეთის სახალხო პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ლექსებს.

პოეტი ნ. შინკუბა მუშაობს მ. ლერმონტოვის თხზულებათა თარგმნაზე. ლექსებს ცალკე წიგნად გამოსცემს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა რუსეთის უდიდესი პოეტის დაბადების 125 წლისთავზე.



ფოთის ქალაქის თეატრი

## ახალი წიგნები

### კოსტა ხეთაგუროვის რჩეული ლექსები და პოემები ქართულად

საქართველოს საბჭოთა მწერლების გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა ოსეთის სახალხო პოეტის კოსტა ხეთაგუროვის რჩეული ლექსებისა და პოემების წიგნი. წიგნს წამძღვარებული აქვს ვ. გორგაძის შესავალი სტატია ხეთაგუროვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ხეთაგუროვის ლექსები და პოემები თარგმნილია ს. შანშიაშვილის, ვ. გორგაძის, ი. გრიშაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ი. ყიფიანის, მ. მრევლიშვილის, მ. პატარიძის, იასამანის, შ. აფხაიძის, დ. კასრაძის, ს. ჩიქოვანის, ს. თავაძის, ი. მჭედლიშვილის, ი. სიხარულიძის, დ. გაჩეჩილაძის, ს. ფაშალიშვილის, ქ. ბობოხიძის, გ. ქუჩიშვილის, ა. აბნაზაროვის, ხ. ვარდოშვილის, ს. ეულის, მარიჯანისა და მ. მიქელაძის მიერ.



წიგნი გამოცემულია კარგ ქაღალდზე და ჩასმულია ლედერინის ყდაში.

### სტეფანე ფერშანგიშვილი

ი. გრიშაშვილმა შეჰკრიბა და დასაბეჭდად დაამზადა სტეფანე ფერშანგიშვილის ლექსები.

ფერშანგიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქალაქ გორში მეთვრამეტე საუკუნეში. გარდა ლექსებისა ფერშანგიშვილი იყო ავტორი დრამებისა და პოემებისა, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. წიგნს წამძღვარებული ექნება ი. გრიშაშვილის ვრცელი წინასიტყვაობა. წიგნს სცემს გამომცემლობა „ფედერაცია".

### ილო მოსაშვილის ლექსები

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ ცალკე წიგნად რუსულ ენაზე გამოსცა ილო მოსაშვილის ლექსები. წიგნში დაბეჭდილია 33 ლექსი, რომლებიც თარგმნილია ს. სპასსკის, ვ. დერჟავინის, პ. ჟელეზნოვის, ბ. ბრიკის, ნ. ტიხონოვის, კ. ლიპსკეროვის, ა. ტარკოვსკის, ვ. ბუგაევსკის და ა. ჩაჩიკოვის მიერ.

წიგნს წამძღვარებული აქვს **შალვა რადიანის** შესავალი წერილი ილო მოსაშვილის შემოქმედების შესახებ.

წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, ჩასმულია დერმანტინის ყდაში, შეიცავს 104 გვერდს და ღირს 3 მან. და 25 კაპ.

### ტაჯიკურ ლიტერატურის ანთოლოგია

მიმდინარე წელს ტაჯიკურ ენაზე პირველად გამოდის დიდი ანთოლოგია „ტაჯიკურ ლიტერატურის ნიმუშები". ანთოლოგიაში წარმოდგენილი იქნება ძირითადი ნიმუშები მრავალსაუკუნოვანი ტაჯიკური ლიტერატურისა მე-9 საუკუნის დასასრულიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, რევოლუციამდელი და საბჭოთა ტაჯიკური ფოლკლორი. გარდა ამისა წიგნში მოთავსებული იქნება ტაჯიკეთის საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

ანთოლოგია უკვე გადაეცა სტამბას და გამოიცემა ტაჯიკეთის საბჭოთა რესპუბლიკის 10 წლისთავისთვის.

### მ. ლერმონტოვი ქართულ ენაზე

უდიდესი რუსი მწერლის მ. ლერმონტოვის დაბადებიდან 125 წლისთავის შესრულების გამო საქართველოს საგამომცემლო ორგანიზაციები სცემენ პოეტის ნაწერებს ქართულ ენაზე.

**სტალინის სახელობის** სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა სცემს ლერმონტოვის რჩეული ლირიკის ერთტომეულს. ლექსები თარგმნილია კ. ნადირაძისა და დ. გაჩეჩილაძის მიერ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია" სცემს მ. ლერმონტოვის პოემებს ქართულ ენაზე. წიგნში შევა „დემონი", „სიმღერა მოვაჭრე კალაშნიკოვზე" და სხვა. პოემები თარგმნილია კ. ჯაფარიძის მიერ. წიგნი გამოვა ა. აბაშელის რედაქციით. გარდა ამისა „ზარია ვოსტოკას" გამომცემლობა ბეჭდავს ი. ენიკოლოფოვის წიგნს „მ. ი. ლერმონტოვი კავკასიაში".

### ალექსანდრე ყაზბეგი

სახელგამმა ახლახან გამოსცა დიმიტრი ბენაშვილის წიგნი „ალექსანდრე ყაზბეგი". ეს ვრცელი ნაშრომი წარმოადგენს ქართული კლასიკური პროზის ღირსშესანიშნავი წარმომადგენლის შემოქმედების საფუძვლიან განხილვას. წიგნში ავტორი ეხება ალექსანდრე ყაზბეგის პროზას, მის დრამატიულ ნაწერებს, ყაზბეგის ესთეტიკასა და ეთიკას. წიგნს ამავე დროს დართული აქვს მეტად საინტერესო მასალები ალ. ყაზბეგის არქივიდან, რომლებიც მკითხველს დამატებით დახმარებას გაუწევენ ამ შესანიშნავი პროზაიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში.

წიგნი შეიცავს 224 გვერდს, ჩასმულია ლედერინის ყდაში და ღირს 14 მანეთი.

## მუსიკალური კომედიის თეატრში

სახელმწიფო მოძრავი მუსიკალური თეატრი საქართველოს რაიონებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა თბილისში და შეუდგა ახალ სეზონისათვის მზადებას. თეატრი მთელი ზამთრის განმავლობაში იმუშავებს თბილისში. სეზონი გაიხსნება ნოემბერში (ყოფ. ტრამვაელთა კლუბში).

მიმდინარე სეზონში თეატრი დაამზადებს ლოპე დე ვეგას „ძაღლი თივაზე", ჯონ პრისტლის „სახიფათო შემობრუნება", კ. ფინის „ტალანტები" და მ. ლაკერბაიას „მამლის ბრალია".

ძველი დადგმებიდან აღდგენილ იქნება „ნაპერწკლიდან", „ხაჯარათი" „უჩინმაჩინი", „მასკოტი", „ესპანელი მღვდელი", „აზნაურები", „სკაპენის ოინები".

## პოემა „გმირთა დიდება"

8 ოქტომბერს, საღამოს, პოეზიის სექციაში დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და განხილული სოლომონ თავაძის ახალი პოემა „გმირთა დიდება". პოემა 1500 სტრიქონს შეიცავს. პოეტ სოლომონ თავაძეს ამ პოემაში მხატვრულად დამუშავებული აქვს ჩვენი საბჭოთა შევარდნების — სწორუპოვარი მფრინავების ყოველდღიური გმირობის ერთი დიდათ ამაღელვებელი ამბავი. სამ მფრინავს, რომელთაგან ერთი (შტურმანი) ქალია, მეტად სახიფათო — გრძელი და შეუსწავლელი მარშრუტით შორეულ აღმოსავლეთისაკენ მიჰყავთ გიგანტი-თვითმფრინავი. შეუდრეკელი სიმტკიცით უმკლავდებიან გმირები გამძვინვარებული სტიქიის სასტიკ წინააღმდეგობას. ამ ბრძოლაში აშკარავდება საბჭოთა მფრინავების რკინისებური ნებისყოფა. მფრინავები არ ჰკარგავენ სიმშვიდეს, სულიერ წონასწორობას, რთულ ვითარებაში გარკვევის უნარს მაშინაც კი, როცა მათ საწვავის სიმცირის გამო, დაღუპვა მოელით. მათი ფხიზელი გონება ჰპოულობს გამოსავალს მძიმე განსაცდელიდან. პირველად თვითმფრინავიდან პარაშუტით ძირს მოფრინავს შტურმანი ქალი, ხოლო შემდეგ ორი პილოტითურთ ძირს ეშვება თვით გიგანტი ფრთოსანი. ავტორი სრული დამაჯერებლობით აგვიწერს, როგორც შტურმანი ქალის, ისე ორივე პილოტის მოულოდნელი ამბებით და მრავალი განსაცდელით სავსე თავგადასავალს. ავტორი გვიჩვენებს, თუ რა დიდი მხნეობის და გამძლეობის ძალა აღმოაჩნდა დაბურულ ტაიგაში მარტო მოხეტიალე ქალს, რომელიც მრავალი დღის განმავლობაში ტაიგიდან გამოსავალი გზის ძიებისას წააწყდება ერთ-ერთს თავის თანამგზავრ პილოტს. იგი მძიმედ არის დაჭრილი. მისი ნაამბობიდან ირკვევა, რომ თვითმფრინავის დაშვების შემდეგ პილოტები უღრან ტყეში შეეყარნენ დივერსანტებს. პილოტებმა შესძლეს მტრის განადგურება, მაგრამ შეტაკებაში ერთი პილოტი მძიმედ დაიჭრა. პილოტისა და შტურმანი ქალის შეხვედრის სცენა პოემის ყველაზე დრამატიულ ადგილს წარმოადგენს. ქალს არ სურს დასტოვოს სასიკვდილოდ დაჭრილი ამხანაგი, მაგრამ თვით ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება მეგობარი ქალის ამ გადაწყვეტილებას, რადგან იცის, რომ მას ქალი ვერ იხსნის, ხოლო თავს კი განსაცდელში ჩაიგდებს. დაჭრილი მფრინავის დაჟინებით, ქალი განაგრძობს გზას იმ განზრახვით, რომ როგორმე უშველოს მეგობარს. პოემა თავდება იმით, რომ ორივეს გადაარჩენს ერთი მოხუცი მებადური, რომელიც დაჭრილი პილოტის ძალიან ახლობელი ადამიანი აღმოჩნდება: იგი ყოფილა ამხანაგი და თანამებრძოლი დაჭრილი პილოტის მამისა, ძველი რევოლუციონერისა, რომელიც ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა.

პოემამ მთლიანად მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, იგი გულწრფელად და განცდით არის დაწერილი, აღვივებს მკითხველში სიყვარულს სამშობლოსადმი და ჩვენი ქვეყნის გმირი ადამიანებისადმი. როგორც ამხანაგებმა აღნიშნეს, ეს პოემა მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ორიგინალური თავდაცვითი ლიტერატურისათვის. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ს. ჩიქოვანმა, ა. აბაშელმა, ვ. გორგაძემ, ვ. წულუკიძემ, ი. ვაკელმა, ს. ეულმა, ი. იმედაშვილმა ურჩიეს ავტორს ზოგიერთი სტროფების შესწორება და პირველი თავის მცირეოდნად გადამუშავება.

## თარგმანების საღამო მწერალთა კლუბში

დაახლოვებით ორი წელიწადია, რაც პოეტი კ. ა. ლიპსკეროვი სთარგმნის ქართული პოეზიის ნიმუშებს. მთარგმნელს ეს მუშაობა თითქმის უკვე დაუსრულებია. მას უთარგმნია ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა თვალსაჩინო ნაწარმოებნი მე-12 საუკუნიდან დაწყებული ვიდრე საბჭოთა პერიოდამდე.

10 ოქტომბერს პოეზიის სექციამ მოაწყო კ. ლიპსკეროვის თარგმანების კითხვისა და განხილვის საღამო. მთარგმნელმა წაიკითხა ნაწყვეტები შავთელის „აბდულ-მესიადან", ჩახრუხაძის რამდენიმე ოდა, ერთი თავი რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნიდან", ცალკე ადგილები თეიმურაზ პირველისა და თეიმურაზ მეორის, არჩილ მეფის პოემებიდან, აგრეთვე დავით გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას ლექსები და ერთიც ხალხური პოეზიის ნიმუში.

თარგმანების ღირსებაზე თავიანთი მოსაზრებები გამოსთქვეს ამხანაგებმა: სიმონ ჩიქოვანმა, ბესო ჟღენტმა, პ. კეშელავამ, ვ. წულუკიძემ და სხვებმა. ამ ამხანაგების აზრით ამხ. ლიპსკეროვს ძალიან დიდი მუშაობა შეუსრულებია, იგი დიდის პასუხისმგებლობით, ცოდნით და კეთილსინდისიერებით მოჰკიდებია ამ საქმეს და უმეტეს შემთხვევაში მოუცია ქართული დედნის შესატყვისი რუსული თარგმანი. განსაკუთრებით კარგად აქვს ლიპსკეროვს თარგმნილი შავთელის, ჩახრუხაძის, თეიმურაზ პირველის, თეიმურაზ მეორის, არჩილ მეფის, ბესიკის, დ. გურამიშვილის და საიათნოვას ლექსები. მთარგმნელს დაცული აქვს ამ მწერლების ნაწარმოებების რიტმიული წყობა, რითმების თანამიმდევრობა და სხვა ფორმალური ხერხები. უმრავლეს შემთხვევაში თარგმნილ ლექსებს შენარჩუნებული აქვთ მეტაფორული მრავალფეროვნება, მუსიკალობა და კოლორიტი.

შედარებით ნაკლებ დამუშავებულია და სუსტ შთაბეჭდილებას სტოვებს ლიპსკეროვის თარგმანში „ვეფხის ტყაოსანი" და XIX საუკუნის ქართული პოეზიის კლასიკოსები. ამხ. სიმ. ჩიქოვანის აზრით, ეს განსხვავება ლიპსკეროვის თარგმნებს შორის აიხსნება იმით, რომ პოეტ ლიპსკეროვს, რომლის ორიგინალურ პოეტურ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს აღმოსავლური პოეზიის მოტივებს, თავისი ხასიათით და განწყობილებით უფრო ეგუებიან და შეეფერებიან აღმოსავლური კოლორიტის მატარებელი ისეთი პოეტური ნიმუშები, როგორიც არის შავთელის, ჩახრუხაძის და მეტადრე ბესიკისა და საიათნოვას ლირიული ლექსები.

პოეტი ლიპსკეროვის თარგმანების მნიშვნელოვანი ნაწილი შედის ქართული პოეზიის იმ ანთოლოგიაში, რომელსაც ახლო მომავალში სცემს მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა".

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ ეს თარგმანები ცალკე კრებულადაც გამოვიდეს.

## აკაკი წერეთელი რაჭა-ლეჩხუმში

მიხეილ ალავიძე

სახელგანთქმულმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა.

ეს მოგზაურობა, რომელიც გაგრძელდა 15 ივლისიდან 1-ლ აგვისტომდე, მოეწყო თბილისში მცხოვრები რაჭველი მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციის თაოსნობით, მათი უშუალო მონაწილეობით. თვით ხალხმა არაჩვეულებრივი სიხარულით მიიღო თავისი საყვარელი პოეტი.

წინასწარ, თბილისში გამართულ ნადიმზე, აკაკის თანადასწრებითა და თანხმობით, მოგზაურობის მომწყობი კომიტეტის წევრებმა შეიმუშავეს მოგზაურობის ჩატარების გეგმა.

რაჭველმა მუშამ იობა ისაკაძემ პოეტს საჩუქრად მიართვა ოქროს კალამი. აკაკიმ მადლობის გამოცხადების შემდეგ თქვა: „ეს ძვირფასი კალამი, რომელიც ძღვნად მომიტანეთ, ამტკიცებს ჩემდამი თქვენს სიყვარულს, მაგრამ ეს მე არ მეკუთვნის, ეს იმისია, ვინც ჩემს შემდეგ განაგრძობს ქვეყნის სამსახურსო".

აკაკი და მისი მეგობრები გაემართნენ რაჭა-ლეჩხუმისკენ. გზაზე ხვდებოდათ უამრავი ხალხი.

უდიდესი აღფრთოვანებით მიეგებნენ დიდებულ მოხუცს სოფელ ჭრებალოში. აქ პოეტმა ჩაატარა ფრიად საინტერესო და შინაარსიანი ლექცია ზეპირსიტყვიერების შეგროვებისა და დაცვის შესახებ.

ლეჩხუმლებმა აკაკის გაუმართეს ნადიმი ციხის ნანგრევებთან, ცაცხვის ხის ქვეშ, სადაც მგოსანს შესანიშნავი სიტყვით მიესალმა მისი მეგობარი, ქართული პრესის მუდმივი თანამშრომელი ქაიხოსრო გელოვანი.

ნადიმის დამთავრებისას აკაკის გადასცეს ვერცხლის სურა, წარწერით: „მცხოვან მგოსანს, სასიქადულო მამულიშვილს აკაკის, ნიშნად გულითადი სიყვარულისა. ჭყვიშის საზოგადოებისაგან".

პოეტმა სურა გულთან მიიკრა და თქვა: „თუმცა ყოველივე ნივთიერი საჩუქარი სუსტი და წარმავალია, მაგრამ ეს, თქვენს მიერ მოძღვნილი საჩუქარი, ჩაინერგება ჩემს გულში თქვენდამი ამოუშლელი სიყვარულითა და თანაგრძნობით".

იშვიათ საზეიმო მომენტს წარმოადგენდა ლეჩხუმლების მიერ აკაკის მიცილება რაჭის პირველ სოფლამდე და რაჭველების მიერ მისი მიღება, რომელიც ძლიერი სიმღერით, თოფების ხშირი სროლითა და საერთო სამხიარულო ყიჟინით გამოიხატა.

მდ. ასკის ხიდთან აღმართული იყო სატრიუმფო თაღი, სადაც აკაკის სურათის ირგვლივ პურის თავთავებით ეწერა: „რაჭა ფიანდაზად გეშლება". აქ ლამაზი და მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ლონგინოზ კიკვიძემ. სხვათაშორის მან აღნიშნა: „დღევანდელ დღეს რაჭა პირველად ეღირსა პირისპირ იხილოს ის, რომელსაც მამულისადმი სამსახური გაუხდია სათაყვანო საქმედ და დღიდან საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისა ერთგულ დარაჯად უდგას თავის ხალხს და წმინდა სანთელივით დნება სამშობლოს სამსხვერპლოზე, იხილოს ის, რომლის ჩანგის ჟღერას, სევდის ჰანგებთან ერთად, იმედის სხივებით აღუფრთოვანებია უსამართლობით დათუთქული ჩვენი გული და დამატკბობელი ნექტარივით ჩასწვეთებია ჩვენს სმენას". (1912 წ. გაზ. „თემი", № 85).

დიდი ეფექტი მოახდინა მგოსანსა და მის თანამგზავრებზე ავტოებით მომავალი რუსი მოგზაურების შეხვედრამ ძირაგეულის ჭალაზე. რუსი მოგზაურები გადმოსულიყვნენ მამისონის უღელტეხილით.

მგზავრებმა შეწყვიტეს სვლა. ერთმა მათგანმა მგრძნობიარე სიტყვით მიმართა მგოსანს, აღნიშნა, რომ ისინი უერთდებიან ქართველი ხალხის ზეიმს, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიაჩნიათ, აღნიშნონ, რომ იგი (აკაკი) არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობის კუთვნილებაა.

საპასუხო სიტყვაში აკაკიმ ხაზი გაუსვა რუსეთის ინტელიგენციის დიდ როლს მცირე ერებისა და, კერძოთ, ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვის ერთერთ ცენტრალურ გაზეთ „რუსსკოე სლოვო"-ში გამოქვეყნდა პროფ. ანისიმოვის დიდი სტატია სათაურით: „შეხვედრა საქართველოს უდიდეს პოეტ აკაკი წერეთელთან", სადაც ქება-დიდებით იხსენიებდა ავტორი მგოსანს, აღნიშნავდა ქართველების უსაზღვრო სიყვარულს თავისი უკვდავი მწერლისადმი, აგრეთვე, აღწერდა მოგზაურობის მსვლელობას.

ერთგან პროფესორი სწერდა: „ილია ქართველების ჭკუაა, აკაკი— ქართველების გრძნობა".

განსაკუთრებული სიყვარულით დახვდნენ მგოსანს სოფელ წესში.

წესი ისტორიული სოფელია. აქ ჰქონდათ სასახლე რაჭის ერისთავებს. წესის ახლოს, ბარაკონში არის დიდი ციხე-სიმაგრე და შესანიშნავი ტაძარი.

ეს ტაძარი ააგო მეთვრამეტე საუკუნეში როსტომ ერისთავმა. ძლიერი და თავმომწონე მთავარი როსტომი იმერეთის მეფის სოლომონ პირველის დაუძინებელი მტერი იყო.

მახვილად არის შესრულებული როსტომის მიერ სოლომონისადმი მიწერილი ზმა: „შენსა მოველ, შენსა ტანადობასა ვეახელ, მაგრამ შენი უდასტურო ვერ წავალ" — (შენ სამოველ, შენ სატანა, შენ იუდა) 1).

სოლომონ პირველმა სამშობლოს ღალატისათვის თვალები დასთხარა როსტომს.

მთავარი ბარაკონის ეკლესიაშია დაკრძალული.

ბარაკონში თავმოყრილი დიდძალი ხალხი აღტაცებით ელოდა დიდებული მგოსნის მობრძანებას.

პოეტი მიიწვიეს განსაკუთრებულად გაკეთებულ ფანჩატურში, რომელიც ლამაზად იყო მორთული ხალიჩებითა და ყვავილებით.

აქ სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს: კვიტაშვილმა, ჯაფარიძემ, კიკოშვილმა, სირაძემ და ქელბაქიანმა.

აკაკიმ ყველას მადლობა გადაუხადა და სათითაოდ გადაკოცნა ისინი.

საღამოს სტუმრები გაემართნენ როსტომ ერისთავის შთამომავლის, შამადავლე ერისთავის სახლისაკენ. აკაკისათვის ცალკე ოთახი ჰქონდათ მზად.

მეორე დღეს გაიმართა ფერხული ორასი კაცის მონაწილეობით. პოეტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფერხულმა. როდესაც შეასრულეს სიმღერა „ჟღელეს ჩამოდგა..", მაშინ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 80 წლის მოხუცმა სორელმა ქალმა, რომლის ხმა ზარივით რეკდა ფერხულის მრავალრიცხოვან მონაწილეებში.

ამავე დღეს დაათვალიერეს ბარაკონის ტაძარი, შიგ ნახეს როსტომ ერისთავის საფლავი, რომლის ქვაზედაც აწერია ზმა:

„წელსა ჩღჟვ-სა (1766) ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე არის ეკლესიისა ამისა აღმშენებელი რაჭის ერისთავი სხვათა უფროს ტომი ნეტარად განსასვენებლად, საუკუნოდ იყოს ხსენება მისი, ამინ".

აკაკიმ, როდესაც წაიკითხა ეს წარწერა, თქვა როსტომის შესახებ: ზვიადობა საფლავშიაც ჩაუტანიაო.

დაათვალიერეს აგრეთვე, ბარაკონის ძველი ტაძრის ნანგრევი, რომელიც თამარის დროს ეკუთვნის.

აკაკი წაიყვანეს ნიკორწმინდაში. მას მეტად მოეწონა ეს სოფელი, მისი ძვირფასი ეკლესია (მეთორმეტე საუკუნისა) და ადგილები: ხარისთვალა, ძროხისთვალა და შაორის ჭალა.

დავით კანდელაკის ოჯახში, ცაცხვის ქვეშ გაშალეს დიდი სუფრა.

საღამოს, როდესაც აკაკი ძილს აპირებდა, გაიღო კარი, ოთახში შემოვიდნენ თეთრ ტანსაცმელში ანგელოზებად მორთული ქალიშვილები, რომლებმაც მგოსანს უგალობეს ძველებური ნანინა.

არანაკლები პატივისცემით მიიღეს აკაკი ონში. აქ გამართულ სალიტერატურო საღამოზე აკაკი და დამსწრენი ძლიერ გააკვირვა ახალგაზრდა ქალიშვილის მარიამ გრიგოლის-ასულ წერეთლის წარმტაცმა სიტყვამ.

მეორე დღეს, დიდ ნადიმზე აკაკი წერეთელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის განაცხადა:

„ბატონებო! თქვენი მხიარულება მეც გადმომედვა. როგორც თქვენ, მე კიდევ უფრო ვარ აღტაცებული, იმიტომ კი არა, რომ ეს ლიტანიობა, რომელსაც მე აქ ვხედავ, ჩემგანაა გამოწვეული, არა, სულ სხვა მიზეზით. მე ვხედავ, რომ თქვენ უკვე გამოღვიძებული ხართ, არა ხართ კმაყოფილი აწმყოთი და მიისწრაფით მომავლისაკენ, თქვენ უქებთ სწორ გზას, გინდათ, რომ ჯუადეთ წინამძღოლი... ის გმირი, რომელმაც უნდა გაწყვიტოს ჯაჭვი და აუშვას ამირანი სხვა არის, ის მოგევლინებათ ახალმოდგმისაგან... მოევლინება საქართველოს მისი შესაფერი გმირი, რომლისაც ღირსი არა ვარ, ხამლი გავხადო ფეხთა მისთა, და თუ მე, მცირე მახარობელს, უბრალო მომაკვდავს ასეთი აღტაცებით მეგებებით, მაშინ რაღა იქნება, როდესაც ნამდვილი გმირი მოგევლინებათ? თქვენ მაშინ მეტი გახარებული იქნებით და მეტი მომზადებული შეხვდებით იმ „გმირთა-გმირს.

მე მხოლოდ დამრჩენია ერთი: ჩავიკრა გულში თქვენი მოლოდინი, სიყვარული, პატივისცემა და უკანასკნელად სვიმონ მოხუცივით წარმოვსთქვა: „აწ განმიტევეთ მე მონა თქვენი!" (1912 წ. გაზ. „თემი", № 83).

აკაკიმ ღამე გაათია დათა გოცირიძის სახლში. ამჟამადაც დაცული არის კედელზე მგოსნის მინაწერი:

„სტუმართმოყვარეობა
რაჭველთა განთქმულია,
მაგრამ სტუმრის გულშიაც
მათი სიყვარულია".

აკაკი და მისი თანამგზავრები დაბრუნდნენ ლეჩხუმში. ისინი ეწვიენ დაბა ლაილაშს. პოეტი მოხიბლა მდ. ლაჯანურის ხეობამ და ლეჩხუმის მრავალფეროვანმა ბუნებამ.

ლაილაშელმა მცხოვრებმა მელქო კაჭკაჭიშვილმა აკაკის მიუძღვნა თექვსმეტმარცვლოვანი შაირით დაწერილი აკროსტიხული ლექსი, რომელშიც მან გამოხატა იშვიათი სტუმრის ხილვით გამოწვეული საერთო აღტაცება:

„აღფრთოვანდა, აგუგუნდა
თქვენი ნახვით ლაილაში,
კიდით-კიდემდე გაისმის
მხიარული ხალხის ტაში.
ადიდებენ თქვენსა ნაშრომს
და გაფრინენ მაღლა ცაში,
კალამი რომ დაგიფასონ,
ყველა არის ამის ცდაში.
ივერიის დიდება ხარ,
სათვალყურო ყოველ გვარში,
საუნჯე ხარ მამულისა,
ბარად იყო, თუნდა მთაში!.."

აკაკი გულითადი მადლობითა და კოცნით მიეგება ამ ხოტბის ავტორს.

ლაილაშს პოეტს მიართვეს ერთი წყვილი ხის ხონჩები და მაზე დაწყობილი შემწვარი კალმახები.

ოპერატორმა გადაიღო სურათები კინოფილმისათვის.

აკაკი წერეთელი უდიდესი კმაყოფილებით დაბრუნდა: „რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა სწორედ საარაკო და საზღაპრო რამ იყო, ვისაც თავისი თვალით არ უნახავს და თავისი ყურებით არ გაუგონია, ის, რაც მოხდა, მას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოფილის.

მთელი ორი მაზრა ერთპირად ფეხზე დადგა და ეროვნულ აღფრთოვანებით ლიტანიობდა მომავალს. თუმცა იმ ლიტანიობის ცოტა მოზიარე მეც ვიყავი, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ის მცირედიც აღემატებოდა ჩემს ღვაწლს" (1912 წ. „თემი", № 9).

იმ ხანებში აკაკიმ დაწერა მოზრდილი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი". რომელშიაც მან შეუდარებელი მხატვრული სახეებით აღწერა „ედემის შესადარი" კუთხე.

პოეტი გულწრფელი სიყვარულით მოგვითხრობს:

„ვინც აქ შობილა, გაზრდილა,
მართლად რომ ბედნიერია,
ვაჟები თვალტანადები
ქალები მშვენიერია."

დღეს განახლებული რაჭა-ლეჩხუმის ბედნიერი მშრომელები სიამაყითა და მოკრძალებით იგონებენ ძვირფას სტუმარს აკაკი წერეთელს და მასთან დაუვიწყარ შეხვედრას.

---

1) ეს ზმა გაგვაცნო 70 წლის მოხუცმა ვლადიმერ ფოფხაძემ. (რაჭა კვაცხუთი).

პასუხისმგებელი რედაქტორი შ. რადიანი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—655